ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პოლიტიკის მეცნიერება

დავით ნეფარიძე

გარემოს დაცვის პოლიტიკა ჭიათურისა და რუსთავის მაგალითზე

ნაშრომი შესრულებულია პოლიტიკის მეცნიერების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: სალომე დუნდუა
პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი
ასოცირებული პროფესორი

თბილისი

ანოტაცია

ე საუკუნეში სახელმწიფოების ერთ-ერთი მთავარი გამომწვევა გარემოზე მიყენებული ზიანის შემსუბუქებაა. ეს პრობლემა აქტუალურია მსოფლიოს ყველა რეგიონში და გამონაკლისი არც საქართველოა. პრობლემის აქტუალურობიდან გამომდინარე კვლევაში გაანალიზებულია საქართველოს მიერ საერთაშორისო გარემოსდაცვითი ვალდებულებები. მთავარი ყურადღება კი გამახვილებულია ჭიათურასა და რუსთავში არსებულ გარემოს დაცვის პოლიტიკაზე. კვლევა შეისწავლის იმ მეთოდებსა და საშუალებებს, რომელსაც სახელმწიფო ინსტიტუტები გარემოს დაცვის პოლიტიკის ფარგლებში ატარებს ზემოთ ნახსენებ ქალაქებში. აგრეთვე გამოყოფილი და გაანალიზებულია ის ფაქტორები, რომლებიც ხელს უშლის გარემოსდაცვითი კანონმდებლობის აღსრულებას ჭიათურასა და რუსთავში. კვლევის პროცესი დაფუძნებულია თვისებრივი კვლევის მეთოდებზე. კერძოდ კი სიღრმისეულ ინტერვიუებზე: სამოქალაქო აქტივისტების, ეკო აქტივისტების, გარემოს დაცვითი ორგანიზაციების, სახელმწიფო ინსტიტუტების და საინფორმაციო საშულებების წარმომადგენლებთან. არსებული ინტერვიუებით, კვლევებითა და ანგარიშებით გაანალიზებულია ჭიათურასა და რუსთავში არსებული გარემოს დაცვის პოლიტიკა. ის მეთოდები, რომლებსაც სახელმწიფო ინსტიტუტები იყენებს გარემოსდაცვითი ღონისძიებები გატარებისთვის და აგრეთვე, ის ფაქტორები რომლებიც ხელს უშლის გარემოსდაცვითი კანონმდებლობის აღსრულების პროცესს ჭიათურასა და რუსთავში.

სარჩევი:

შესავალი 4

თავი 1. გარემოს დაცვის პოლიტიკა: თეორიული ასპექტები 9

1.2 „ახალი მწვანე კურსი“ 12

თავი 2. საქართველო: საერთაშორისო გარემოსდაცვითი ხელშეკრულებები და ვალდებულებები 15

2.1 „ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ კონვენცია“ -სახელმწიფოს ვალდებულებები 15

2.2 „კლიმატის ცვლილების შესახებ კონვენცია“ - სახელმწიფოს ვალდებულებები 18

2.3 „გაუდაბნოებასთან ბრძოლის შესახებ კონვენცია“ - სახელმწიფოს ვალდებულებები 20

თავი 3. ჭიათურა და რუსთავი: შემთხვევის ანალიზი 22

დასკვნა 36

გამოყენებული ლიტერატურა 38

დანართი #1 41

დანართი #2 42

მწვანე პოლიტიკის ისტორია 9

ასოციერების ხელშეკრულება“ - სახელმწიფოს გარემოს დაცვითი ვალდებულები 21

შესავალი

მეორე მსოფლიო ომმა მნიშვნელოვნად გარდაქმნა საზოგადოება. სასოსფლო-სამეურნეო ეკონომიკიდან ადამიანები გადავიდნენ სამრეწველო ეკონომიკასა და ურბანულ საზოგადოებაზე (Stiglitz, 2019). ურბანული მასშტაბების ზრდამ კი, თავის მხრივ, გამოიწვია სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიების შემცირება და ისეთი ეკონომიკური საქმიანობების წინ წამოწევა, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენდა გარემოზე. მე-20 საუკუნის 60-იან წლებამდე, ადამიანები ვერც კი ამჩნევდნენ თუ რამდენად დიდ პრობლემას წარმოადგენდა ბუნებრივი რესურსების მტაცებლური გამოყენება, საწარმოო ნარჩენების ღია სივრცეში გადინება და ეროზიული/დეგრადირებული ტერიტორიების მასშტაბების ზრდა (ქოიავა, 2019). თუმცა კლიმატის ცვლილებამ, ჰაერის დაბინძურების საგანგაშო დონემ, რესურსების ამოწურვის საფრთხემ და დაავადებების გაჩენამ, რომლებიც დაკავშირებული იყო ეკოლოგიურ მდგომარეობასთან, სხვადასხვა ქვეყნის მთავრობები მიიყვანა დასკვნამდე, რომ ეკონომიკური საქმიანობა უნდა გაჯანსაღებულიყო.

მიუხედავად იმისა, რომ განვითარებულ ქვეყნებში ამ მიმართულებით ბევრი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა, ეკოლოგიური პრობლემები 21-ე საუკუნეში ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად რჩება. საქმე იმაშია, რომ აღნიშნული გლობალური პრობლემაა, რაც ნიშნავს იმას, რომ ჯანსაღი გარემოს შენასანარჩუნებლად და ეკოლოგიური კატასტროფის თავიდან ასაცილებლად, აუცილებელია ყველა სახელმწიფოს ჩართულობა. ამიტომ მინდა განვიხილო, თუ რა მდგომარეობაა ამ მიმართულებით საქართველოში, როგორი ზეგავლენა აქვს ეკონომიკურ საქმიანობას გარემოზე და რა როლი აქვს სახელმწიფოს ამ პროცესში. კვლევის ფარგლებში საკვლევ არეალს წარმოადგენს ქ. ჭიათურა და ქ. რუსთავი. აღნიშნული ქალაქების წვლილი ქართულ ეკონომიკის სტაბილურობაში მნიშვნელოვანია, თუმცა სწორედ ამ ქალაქების მაგალითზეა ყველაზე თვალსაჩინო, თუ რამდენად დიდ პრობლემას უქმნის ეკონომიკური საქმიანობა გარემოსა და მათში მცხოვრებ ცოცხალ ორგანიზმებს.

ქ. ჭიათურა, სადაც წიაღისეული მოიპოვება, ერთ-ერთი პირველია გარემოზე მიყენებული ზიანის მაჩვენებლით საქართველოში. მის ადმინისტრაციულ ტერიტორიებზე „ჯორჯიან მანგანეზის“ გამოქვეყნებული 2022 წლის მონაცემებით, დეგრადირებული ნიადაგების ფართობის ჯამი 956 ჰა-ს შეადგენს. აღნიშნულ ტერიტორიებზე დაწყებულია გაუდაბნოებისა და ეროზიული პროცესები. ასევე, ქალაქში მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს მდ. ყვირილას საწარმოო ნარჩენებით დაბინძურება, რაც, აგრეთვე, დაკავშირებულია კომპანია „ჯორჯიან მანგანეზისა“ და მისი ქვეკონტრაქტორი კომპანიების საქმიანობასთან. გარდა იმისა, რომ მდ. ყვირილას დაბიძნურების დონე ვიზუალურადაც ჩანს, ასევე, არსებობს კვლევაზე დაფუძნებული მონაცემებიც. 2022 წელს „მწვანე პოლიტიკის სამეცნიერო-კვლევითი პლატფორმის“, „ჭიათურის ეკოლოგიური კლუბის“, „ჭიათურის მეთევზეთა კლუბისა“ და „მწვანე პოლიტიკის საზოგადოებრივი პლატფორმის“ განხორციელებული კვლევის „გაწმინდე ყვირილას“ ანაგარიშში ვკითხულობთ, რომ მდ. ყვირილა და მისი შენაკადები, მანგანუმის გამამდიდრებელი საწარმოებიდან, მნიშვვნელოვნად ბინძურდება მძიმე მეტალებით (მანგანუმი, ტყვია, რკინა).

რაც შეეხება ქ. რუსთავს, ეკოლოგიური თვალსაზრისით, აქაც არანაკლებ კატასტროფული მდგომარეობაა. „ქ.რუსთავის ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუმჯობესების საქმომედო გეგმაში 2020-2022“ ვკითხულობთ, რომ რუსთავში დაფიქსირებულია მყარი ნივთიერებების გაფრქვევის 50 წყარო. აღსანიშნავია, რომ საწარმოების უმეტესობას არ გააჩნია შესაბამისი ინფრატრუქტურა, რომელიც უზრუნველყოფდა გარემოზე მიყენებული ზიანის შემცირებას. ჰაერის ხარისხის პორტალზე განთავსებული ინფორმაციის თანახმად, 2022 წელს 365 დღიდან ჰაერი 259 დღე იყო დაბნძურებული (გარემოს ეროვნული სააგენტო, 2022).

თემის აქტუალურობიდან გამომდინარე, **კვლევის მიზანია** გაანალიზოს, როგორია სახელმწიფოს გარემოს დაცვითი პოლიტიკა ქ. ჭიათურასა და ქ. რუსთავში. რა საშუალებებით ცდილობენ სახელმწიფო ინსტიტუტები გარემოსდაცვითი პოლიტიკის გატარებასა და ეკოლოგიური პრობლემების აღმოფხვრას.

კვლევის ამოცანებია:

- შეისწავლოს საქართველოს მთავრობის მიერ აღებული საერთაშორისო ვალდებულებები გარემოსდაცვითი მიმართულებით;
- შეისწავლოს საქართველოს კანონი გარემოს დაცვის შესახებ;
- კონკრეტული შემთხვევების შესწავლა, რათა გავარკვით რა მექანიზმები გამოიყენება სახელმწიფოს მიერ გარემოსდაცვითი პოლიტიკის გატარების პროცესში.

კვლევის ობიექტია ქ. ჭიათურასა და ქ. რუსთავში ეკოლოგიური მდგომარეობის შესაფასებლად ჩატარებული კვლევები. გარემოს დაცვის მიმართულებით მომუშავე სამოქალაქო აქტივისტები და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

კვლევის მიზნიდან და ამოცანებიდან გამომდინარე **კვლევის კითხვებია:**

- რამდენად სათანადოდ რეაგირებს გარემოს დაცვის სამსახურები კომპანიების მიერ კანონდარღვევის შემთხვევაში?
- რა ხელისშემშლელი ფაქტორები იკვეთება გარემოს დაცვითი კანონმდებლობების აღსრულების პროცესში?

ნაშრომის **თეორიულ ჩარჩოდ** გამოყენებულია მოდერნიზაციის თეორია. მოდერნიზაციის თეორეტიკოსებს (ემილ დიურკემი, მაქს ვებერი, ტალკოტ პარსონი) მიაჩნდათ, რომ ნაკლებად განვითარებულმა სახელმწიფოებმა დაჩქარებულად უნდა გაიარონ ის გზა, რომელიც განვითარებულმა სახელმწიფოებმა გაიარეს. აღნიშნული გულისხმობს ინდუსტრიის სწრაფი ტემპებით განვითარებასა და ეკონომიკური თვალსაზრისით ზრდას. მოდერნიზაციის თეორიაში განსაკუთრებით გამოყოფილია ცენტრალური მმართველობის როლი ეკონომიკური ზრდის პროცესში. (Apter, 1965). აღნიშნული თეორიის შემქმენელბი არ საუბრობენ, თუ რა შედეგები შეიძლება მოიტანოს ინდუსტრიალიზაციის დაჩქარებულმა პროცესებმა გარემოს დაზიანების კუთხით. სწორედ ამიტომ აღნიშნულ თეორიას შეუძლია ახსნას ის მოვლენები, რომლებიც ეკონომიკური საქმიანობის პროცესში, გარემოზე მიყენებული ზიანის მიუხედავად, საწარმოებს შეუფერხებლად მუშაობის საშუალებას აძლევს.

კვლევის კითხვებზე პასუხის გასაცემად შეირჩა თვისებრივი **კვლევის მეთოდოლოგია.** შესაბამისად, ამისთვის გამოვიყენე თვისებრივი კვლევის ტექნიკა, დოკუმენტების თვისებრივი ანალიზი. შესწავლილია გარემოს დაცვის შესახებ არსებული თეორიები, კვლევები და მეორეული წყაროები, გაანალიზებულია ისინი თვისებრივად. კვლევის სრულყოფილად ჩასატარებლად, აგრეთვე, გამოყენებულია თვისებრივი კვლევის კიდევ ერთი ტექნიკა – სიღრმისეული ინტერვიუ. იგი ჩატარდა ჭიათურისა და რუსთავის სამოქალაქო და ეკო აქტივისტებთან, აგრეთვე, სახელმწიფო ინსტიტუტების წარმომადგენლებთან, ჟურნალისტებსა და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებთან, რომლებიც მუშაობენ გარემოს დაცვის მიმართულებით. სიღრმისეული ინტერვიუ ჩატარდა 7 რესპონდენთან. მათ შორის 2 იყო ქალი და 5 კაცი. რესპოდენტთა ასაკის დიაპაზონი 26 წლიდან 65 წლამდე. რესპონდენტების მოსაძიებლად გამოყენებულია **შერჩევის** არაალბათური მეთოდი, კერძოდ, მიზნობრივი შერჩევა, რომელიც გულისხმობს ერთმანეთისგან განსხვავებული, მაგრამ შეზღუდული რაოდენობის შემთხვევათა შესწავლას. შერჩევის აღნიშნული მეთოდი გამოსადეგი აღმოჩნდა კვლევისთვის საჭირო ადამიანების შერჩევის თვალსაზრისით.

ლიტერატურის მიმოხილვა: კვლევის პროცესში განსაკუთრებით აღსანიშნავია შემდეგი ნაშრომები: „მწვანე პოლიტიკა და გარემოს დაცვა," – აღნიშნულ წიგნში გადმოცემულია მწვანე პოლიტიკის ჩამოყალიბებისა და მწვანე ფილოსოფიის დანიშნულების შესახებ. „ნეოაქრტივიზმი და მწვანე პოლიტიკა ლათინურ ამერიკაში," - რევაზ ქოიავას მოცემული სტატია თეორიულ მიდგომებს ეფუძნება. მოდერნიზაციის ეკონომიკური ასპექტების განსაზღვრაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს ვოლტ რასტოუს, დევიდ აპტერისა და გენშენკრონის ნაშრომებმა - „The stage of economic growth," „The politics of განხილულია, ერთი მხრივ, ეკონომიკური განვითარების ეტაპები და, მეორე მხრივ, სახელმწიფოს ჩართულობის მნიშვნელობა სწრაფ ეკნომიკურ ზრდაში. აგრეთვე, კვლევის დროს საგულისხმოა ვასილ ხიზანიშვილის „ეთიკური ეკონომიკა," სადაც განხილულია ეკონომიკისა და ეთიკის თანხვედრის საკითხები. გარემოს დაცვის თანამედროვე მიდგომების გასაანალიზებლად მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ჯოსებ

სთიგლიცის სტატიამ „The climate crisis is our third world war. It needs a bold response“, რომელშიც გადმოცემულია იმ საფრთხეების შესახებ, რასაც კლიმატის ცვლილებები უქმნის სამყაროს. კლაუსი დიორეს სტატიაში „ყველა კლიმატზე საუბრობს“ გადმოცემულია სოციალურ-ეკონომიკური ტრანსფორმაციის შესაძლებლობებზე, რომელიც პერსპექტივას მისცემს ადამიანებს, მათი ნორმალური ცხოვრება მუდმივ ეკონომიკურ ზრდაზე არ იყოს დაფუძნებული.

თავი 1. გარემოს დაცვის პოლიტიკა: თეორიული ასპექტები

მწვანე პოლიტიკის ისტორია

მე-20 საუკუნის 60-იან წლებში ეკოლოგიური მდგომარეობის კატასტროფულად გაუარესების, მსოფლიო მოსახლეობის მატებისა და სასოფლო-სამეურნეო მიწების მნიშვნელოვნად შემცირების ფონზე პოპულარული გახდა, ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში ჩამოყალიბებული, რობერტ მალთუსის თეორია, რომლის მიხედვითაც ადამიანების პოპულაციის ზრდა გამოიწვევდა თვითგანადგურებას (Malthus 1798). გაზრდილი მოსახლეობა საჭიროებს ცხოვრებისთვის საჭირო მეტ რესურს, რომლებიც, ძირითადად, არაგანახლებადია. მალთუსის თეორია კი ამტკიცებდა, რომ პოპულაციის ზრდა, რომელიც თან სდევდა ინდუსტრიალიზაციის პერიოდს, აუცილებლად მიიყვანდა კაცობრიობას განადგურებამდე. სწორედ ამ პერიოდიდან იწყებენ სახელმწიფოები ბუნებრივი რესურსების მეტ-ნაკლებად მიზნობრივ გამოყენებას და ცდილობენ შეამცირონ საწარმოო ნარჩენების ღია სივრცეში მოხვედრა. ჩნდება თანამედროვე აზროვნება გარემოს დაცვის თაობაზე. „ადამიანების უფლებათა საყოველთაო დეკლარაციასა“ (გაეროს საინფორმაციო დეპარტამენტის საქართველოს ოფისი, 2008) და „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტში“ ხაზი გაესვა ცხოვრების დონისა და ეკოლოგიური ასპექტების გაუმჯობესებას აუცილებლობას (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 2000).

გარემოზე უარყოფითი ზემოქმედება გლობალური პრობლემაა და უმნიშვნელოვანესია დედამიწაზე არსებულმა ყველა სახელმწიფომ თანმიმდევრულად, შეთანხმებულად და ერთიანი ძალებით იბრძოლოს აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად. თუმცა სახელმწიფოები კვლავ ვერ თანხმდებიან იმ მდგრადი განვითარების ერთიან გეგმაზე, რომელიც ნაკლებ ზიანს მიაყენებს გარემოს. ადრე პოპულარულმა „დაწევითი განვითარების თეორიამ“, რაც უკავშირდება ეკონომიკური ზრდის ცნებას, გაგრძელება იპოვა „მოდერნიზაციის თეორიაში“, რომლის ავტორებსაც მიაჩნდათ, რომ ნაკლებად განვითარებულმა ქვეყნებმა დაჩქარებულად უნდა გაიარონ ის საფეხურები, რომელიც უკვე გაიარეს მათზე განვითარებულმა სახელმწიფოებმა (ქოიავა,

მოდერნიზაციის თეორია ჩამოყალიბდა მე-20 საუკუნის 50-იან წლებში, ის წარმოადგენდა ყოვლისმომცველ ჩარჩოს ტრადიციული საზოგადოებების თანამედროვე საზოგადოებებად გარდაქმნის ასახსნელად. ერთ-ერთი პირველი ვინც ეკონომიკური მოდერნიზაციის შესახებ წიგნი გამოსცა, იყო ამერიკელი ეკონომისტი ვოლტ რასთოუ, რომელიც გვთავაზობს ეკონომიკური მოდერნიზაციის ხუთ ეტაპიან გზას. რასთოუ ამტკიცებდა, რომ სწრაფი ეკონომიკური ზრდა აუცილებელი იყო ცხოვრების დონის გასაუმჯობესებლად (Rostow. W. W. 1960). კიდევ ერთი ავტორი, რომელიც მოდერნიზაციის თეორიის ეკონომიკურ ასპექტებზე წერდა დევიდ აპტერია. მან თავის წიგნში „The politics of modernization“ ხაზი გაუსვა სახელმწიფოს როლზე ეკონომიკური ზრდისა და განვითარების ხელშეწყობაში. იგი ამტკიცებდა, რომ საზოგადოებებს სჭირდებოდათ ძლიერი, ცენტრალიზებული მთავრობები ეკონომიკური ზრდის, საჭირო ინფრასტრუქტურისა და პოლიტიკის შესაქმნელად. ის, ასევე, ემხრობოდა აზრს, რომ სახელმწიფო აქტიურად უნდა ყოფილიყო ჩართული ეკონომიკურ საქმიანობაში და განეხორციელებინა ინვესტიციები სხვადასხვა საწარმოსა თუ ქარხნის მშენებლობისთვის გენშენკრონი თავის წიგნში „Economic backwardness in historical perspective“ (1962). იგი ამტკიცებდა, რომ შედარებით დაბალ ეკონომიკურად განვითარებულ სახელმწიფოებს შეუძლიათ გამოიყენონ სახელმწიფოს ინტერვენცია და სხვადასხვა პოლიტიკური საშუალებები ინდუსტრიალიზაციის ბარიერების გადასალახავად და ეკონომიკური ზრდის მისაღწევად. როგორც ჩვენ ვხედავთ, სხვადასხვა ავტორების მიერ გამოთქმულ ნააზრევში, ისინი ხაზს უსვამენ სახელმწიფოს როლსა და მნიშვნელობას ეკონომიკის სწრაფი განვითარების პროცესში. თუმცა ხშირ შემთხვევაში ადგილობრივ კონტექსტს არ ითვალისწინებენ. შესაბამისად, ამგვარ მიდგომას ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავს, ვინაიდან დაჩქარებულ განვითარებაში არ მოიაზრება მდგრადი განვითარება და ამოსავალი წერტილი სწრაფი ეკონომიკური ზრდაა. კრიტიკოსები ამტკიცებენ, რომ სწრაფ ეკონომიკურ ზრდაზე დაფუძნებულ პოლიტიკას, რომელიც გულისხმობს რესურსების მოპოვებასა და ნედლეულის არასწორ დამუშავებას, უფრო მეტი სოციალური და ეკოლოგიური ზიანის მიყენება შეუძლია სახელმწიფოსთვის, ვიდრე ნელ, მაგრამ გააზრებულ ეკონომიკურ პროგრესს. თუმცა ძირითად შემთხვევაში სახელმწიფოს

მეთაურებისთვის უფრო პოპულარული და მომგებიანია სწრაფი ეკონომიკური ზრდა, რომელსაც მოკლევადიან პერიოდში დადებითი გავლენის მოხდენა შეუძლია მათ ელექტორალურ მდგომარეობაზე. ამგვარმა ანთროპოცენტრულმა მიდგომებმა გამოიწვია მწვანე ფილოსოფიის ჩამოყალიბება, რომლის ცენტრალური წერტილი ადამიანისა და ბუნების ურთიერთკავშირია (მწვანე ალტერნატივა, 2013). მწვანე ფილოსოფიისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია ეკოცენტრული მიდგომა. ეს მიდგომა მას განასხვავებს სხვა პოლიტიკური იდეოლოგიებისგან, რომლებიც ბუნებას აღიქვამენ, როგორც რესურსს, რომელიც შეიძლება გამოყენებული იქნას მოკლევადიანი სარგებლისთვის. მწვანე ფილოსოფიის მიმდევრებს სწამთ, რომ დედამიწა და მასში მცხოვრები ცოცხალი ორგანიზმები აღქმული უნდა იყოს, როგორც მუდმივი ღირებულება და არ შეიძლება ის წარმოდგენილი იქნას, როგორც უბრალო საშუალება, რომელსაც სარგებელი მოაქვს კაცობრიობისთვის (მწვანე ალტერნატივა, 2013). მწვანეებს მიაჩნიათ, რომ ის რესურსები, რომელიც დედამიწაზე არსებობს შენახული უნდა იქნეს მომავალი თაოებებისთვის. არავის უნდა ჰქონდეს იმის უფლება, რომ დედამიწაზე არსებული ბიოლოგიური თუ არაბიოლოგიური რესურსები გაანადგუროს საკუთარი თვითმყოფადობისა და კეთილდღეობისთვის. მწვანეების მიდგომას შეგვიძლია თანმიმდევრული ვუწოდოთ. თუ დედამიწა აღქმული არ იქნება, როგორც მუდმივი ღირებულება, ის შეიძლება შევადაროთ კოსმოსში გაგზავნილ ხომალდს, რომელსაც გააჩნია შეზღუდული რესურსები, რომელთა ამოწურვის შემდეგ კი, აუცილებლად შეწყვეტს არსებობას. ამიტომ მნიშვნელოვანია ანთროპოცენტრული მიდგომები გადაიხედოს, რომელიც სამყაროს ცენტრად ადამიანს მოიაზრებს, რადგან ამგვარ მიდგომას საბოლოოდ მივყავართ ისეთ ეკოლოგიურ კატასტოფამდე, რომელიც ხშირ შემთხვევაში გადატრანსფორმირდება სოციალურ და ჯანდაცვის პრობლემებში. აღსანიშნავია, რომ მწვანეები თავიანთი პოლიტიკით ცდილობენ საზოგადოებაში ძირეული კულტურული ცვლილებების შეტანას, რათა თითოეული ადამიანის მიერ იქნას გაანალიზებული, რომ ურთიერთობები, როგორც საზოგადოებასთან არის საჭირო, ასევე, ბუნებასთანაც, რომელშიც ვცხოვრობთ.

გარემოსდაცვითი ღონისძიებების წინ წამოწევასთან ერთად, ასევე, დღის წესრიგში დადგა ე.წ ეთიკური ეკონომიკის თეორია. ეთიკური თეორია არის ეკონომიკისა

და ეთიკის თეორიების გაერთიანება (ხიზანიშვილი, 2016). ეთიკური თეორია ეხმაურება უძველეს ფილოსოფიურ ტრადიციას, არისტოტელეს პრაქტიკულ ტრადიციას, როგორც პოლიტიკის, ეთიკისა და ეკონომიკის ერთიანობას. მისი, როგორც ინტერდისციპლინარული საგნის, ჩამოყალიბების ერთ-ერთ საფუძვლად სახელდება ეკონომიკური საქმიანობის მზარდი გავლენა ეკოლოგიურ მდგომარეობაზე, რამაც გამოიწვია ეთიკური პასუხიმგებლობის მოთხოვნილება (ხიზანიშვილი, 2016). დღეს არა მარტო სახელმწიფოს მიერ შექმნილი გარემოს დაცვის კარგი საკანონმდებლო ბაზაა აუცილებელი, არამედ მნიშვნელოვანია კომპანიებმა იგრძნონ ეთიკური და სოციალური პასუხისმგებლობა, რათა თავიანთი საქმიანობა აწარმოონ ისე, რომ მნიშვნელოვნად შემცირდეს გარემოზე მიყენებული ზიანი.

1.2 „ახალი მწვანე კურსი“

თანამედროვე ეკოლოგიური გამოწვევების პარალელურად, რომლებიც უკავშირდება კლიმატის ცვლილებასა და ტემპერატურის ზრდას, დედამიწაზე ეკო აქტივისტები და სამეცნიერო წრეები მუდმივად ცდილობენ ახალი იდეების ჩამოყალიბებასა და განხორციელბას. ერთ-ერთი ამგვარი იდეა „ახალი მწვანე კურსის“ სახელითაა ცნობილი, რომელიც ამერიკაში 2018 წლის შუალედური არჩევნების წინ გაავრცელა ახალგაზრდა აქტივისტების ჯგუფმა (Friedman, 2019). მათ დემოკრატ კონგრესმენებთან ერთან ჩამოაყლიბეს „ახალი მწვანე კურსის“ რეზოლუცია, რომელშიც აღწერილია გრანდიოზული გეგმა კლიმატის ცვლილებების წინააღმდეგ ბრძოლაში. აღნიშნული გეგმის მომხრეები ფედერალურ მთავრობას მოუწოდებენ შეწყდეს ამერიკის ეკონომიკაში წიაღისეული საწვავის გამოყენება და სათბურის გაზების ემისია. ასევე, კურსი მიზნად ისახავს ახალი, მაღალ ანაზღაურებადი სამუშაო ადგილების გარანტიას სუფთა ენერგიის ინდუსტრიებში. „ახალი მწვანე კურსის“ ფართოდ გავრცელების შემდეგ გაჩნდა აზრთა სხვადასხვაოება ამერიკულ საზოგადოებაში. კურსის მხარდამჭერები მას პლანეტის განადგურების თავიდან აცილების გზად განიხილავენ, ხოლო ოპონენტები მას აღიქვამენ სოციალისტურ შეთანხმებად, რაც გამოიწვევს ადამიანების გაღარიებებას. კოლუმბიის უნივერისტეტის პროფესორი, ეკონომისტი ჯოზეფ სტიგლიცი „ახალი მწვანე კურსის“ მოწინააღმდეგეებს არწმუნებს, რომ სწორი ფისკალური პოლიტიკითა და

ადამიანების სურვილით შესაძლებელია განხორციელდეს რეზოლუციაში ასახული პუნქტები, რაც შესაძლებელს გახდის მსოფლიოში ეკოლოგიური მდგომარეობის გამოსწორებას (Stiglitz, 2019). იგი კლიმატის ცვლილებებისგან გამოწვეულ საფრთხეებს ადარებს მსოფლიო ომს, რომლის წინააღმდეგ ნაბიჯები დროული და თანმიმდევრული უნდა იყოს. ამასთან სტიგლიცის აზრით, ბრძოლა ეკოლოგიურ პრობლემებთან, თუ ის სწორად იქნება წარმართული, გააჩენს ახალ შესაძლებლობებს ეკონომიკაში, როგორც მეორე მსოფლიო ომმა გააჩინა პლაცდარმი ამერიკის ეკონომიკის საუკეთესო პერიოდისთვის. განახლებად ენერგიაზე გადასვლა, მწვანე ეკონომიკის შექმნა და წიაღისეული საწვავების გამოყენების შემცირება გამოიწვევს უფრო მეტი სამუშაო ადგილის შექმნასა და ახალ ეკონომიკურ ბუმს (Stiglitz, 2019).

ეკოლოგიური კატასტროფების თავიდან აცილების განსხვავებული ვარიანტი აქვს შრომისა და ეკონომიკის სოციოლოგ, კლაუს დიორეს. მსოფლიოში შექმნილი ეკოლოგიური ვითარება ქმნის საშუალებას დაისვას კითხვები სოციალურ-ეკოლოგიურ გარდაქმნის პერსპექტივაზე. დიორეს აზრით, მსოფლიო განიცდის ახალ კრიზისს, რომელსაც იგი ეკოლოგიურ-ეკონომიკური „მარწუხების კრიზის“ უწოდებს (დიორე, პირობებში ეკონომიკურ გაყინულობასა და საზოგადოებრივი კრიზისების მოსაგვარებლად გამოყენებული ბუნებრივი რესურსები განსაკუთრებულ ზიანს უქმნის ეკოლოგიურ მდგომარეობას. მიუხედავად იმისა, რომ ვითარება სავალალოა, ადამიანები თავიანთი ქმედებებით მიდიან თვითგანადგურების გზაზე, ამიტომ მნიშვნელოვანია გამოინახოს გზა ეკოლოგიურ-ეკონომიკური ბალანსის დასაცავად, სადაც ადამიანები თავიანთ ანთრიპოცენტრულ მდგომარეობას, არა ბუნებრივი გარემოს განადგურების იარაღად გამოიყენებენ, არამედ მდგრად ურთიერთობას დაამყარებენ გარემოსთან და მასში მცხოვრებ ორგანიზმებთან. ამ შემთხვევაში თავიდან იქნება აცილებული ის ინსტუმენტალური დამოკიდებულება რესურსების მიმართ, რაც ადამიანებში არსებობს. დიორე ასევე ეხმაურება „ახალ მწვანე კურსს“, რომელმაც უნდა შეამციროს მსოფლიოში ემისიების ოდენობა და აღნიშნავს, რომ ამგვარი რევოლუციური წამოწყების მიუხედავად, ის სრულად ვერ იქნება გამოცალკევებული ეკონომიკურ ზრდასთან და მისგან გამოწვეულ ეკოლოგიურ შედეგებთან. ამიტომ დიორი ეკონომიკური

ზემოქმედების შესამცირებლად განიხილავს საზოგადოების იმგვარ ტრანსფორმაციას, სადაც ადამიანებისთვის ეკონომიკური ზრდის გარდაუავალი საჭიროება აღარ იარსებებს დიორე, 2021).

თავი 2. საქართველო: საერთაშორისო გარემოსდაცვითი ხელშეკრულებები და ვალდებულებები

სსრკ-ს დაშლისა და დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, საქართველო, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი გახდა, რამაც მას გარკვეული ვალდებულებები დააკისრა სხვადასხვა მიმართულებით. გამონაკლისი არც გარემოს დაცვითი მიმართულება იყო და სწორედ ამ დროიდან იწყება ქართული სახელმწიფოს გარემოსდაცვით კონვენციასა, თუ ხელშეკრულებაში ჩართვის პროცესი. საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების პერიოდი ემთხვევა იმ დროს, როდესაც განსაკუთრებით აქტუალური გახდა მსოფლიოში ეკოლოგიური პრობლემები. მდგომარეობის გამოსასწორებლად და გარემოზე მიყენებული ზიანის შესამსუბუქებლად, 1992 წელს რიო დე ჟანეიროში გაეროს ორგანიზებით კონფერენცია გაიმართა, სადაც სამი მნიშვნელოვანი კონვენცია მიიღეს, რომელიც „რიოს სამი კონვენციის“ სახელით არის ცნობილი. დოკუმენტის რატიფიცირება გაეროს წევრმა 155-მა სახელმწიფომ მოახდინა, რაც მათ ავალდებულებთ გადაწყვეტილების მიღების პროცესში გათვალისწინებული იყოს ის რისკები, რომელიც შესაძლოა გარემოს მიადგეს აღნიშნული სამი კონვენციის რატიფიცირება საქართველომ 1994 წელს მოახდინა, შესაბამისად, გარკვეული ვალდებულებები და შესრულების მექანიზმების ამოქმედება დაევალა. ნაშრომი შეეცდება განიხილოს თითოეული კონვენციის ვალდებულებები და მათი შესრულების საკითხი.

2.1 „ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ კონვენცია“ -სახელმწიფოს ვალდებულებები

ინდუსტირიული განვითარებისა და ეკონომიკური საქმიანობის პროცესში განსაკუთრებული ზიანი ადგება გარემოს. ამას კი სავალალო შედეგი მოაქვს სხვადასხვა სახეობის მცენარისა და ცხოველისთვის. შესაბამისად, დედამიწაზე სულ უფრო და უფრო მცირდება სახეობათა რიცხვი. სწორედ ამიტომ მიიღეს ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ კონვენცია (UN, 1992), რომლის რატიფიცირებაც

საქართველომ 1994 წელს მოახდინა, ამით კი გარკვეული ვალდებულებები იკისრა. აღნიშნული კონვენციის თანახმად, საქართველომ აიღო საერთაშორისო ვალდებულება, რომ მომავალ თაობებს შეუნახოს არსებული ბიომრავალფეროვნება და გაუფრთხილდეს საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ სახეობათა და ეკოსისტემის მრავალფეროვნებას. ამასთანავე, კონვენციაში გათვალისწინებულია ისიც, რომ კონკრეტულ ქვეყნებში არსებული ბიომრავალფეროვნება მსოფლიო მემკვიდრეობის ნაწილს შეადგენს, ამიტომაც მნიშვნელოვანია ყოველმა სახელმწიფომ იზრუნოს მის შენარჩუნებაზე.

კონვენციაში მონაწილე ყველა სახელმწიფო ვალდებულია შეიმუშაოს ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნებისა და სწორი გამოყენების ეროვნული სტრატეგიები. ამასთანავე, ეტაპობრივად უნდა მოხდეს ანგარიშების მომზადება და წარდგენა. პირველი ასეთი დოკუმენტი საქართველომ 1996 წელს მოამზადა, რომელიც „ბიორმრავალფეროვნების შესწავლისა და შეფასების პროგრამის“ სახელით არის ცნობილი. დოკუმენტის მთავარი მიზანი ეკოსისტემაზე მოქმედი ძირითადი საფრთხეების შესწავლა და ქვეყნის მასშტაბით გავრცელებული სახეობების მდგომარეობის შეფასება იყო. შემდეგი დოკუმენტი, რომელიც ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებას ეხებოდა, 2000 წელს გამოქვეყნდა „საქართველოს ბიომრავალფეროვნების დაცვის ეროვნული მოხსენების“ სახელით. მოხსენება 1996 წლის ანგარიშის საფუძველზე მომზადდა და იგი მოიცავს კონკრეტულ სტრატეგიებს, რომლებიც უნდა განხორციელებულიყო ბიოლოგიური მრავალფეროვნების დაცვისთვის. „ეროვნულ მოხსენებაში“ (GEF, 2000) საუბარია იმ საკანონმდებლო ცვლილებებზე, რომლებიც საქართველოს იმდროინდელმა მთავრობამ განახორციელა. აღნიშნული ცვლილებები შეეხო: დაცული ტერიტორიების სისტემის განსაზღვრასა და ჩამოყალიბებას, ცხოველთა სამყაროს, ველური ფლორასა და ფაუნის დაცვისა და გამოყენების სფეროში რეგულირებას, აგრეთვე, კოლხეთის ეროვნული პარკის ჩამოყალიბებისა და მართვის სტრატეგიებს. დოკუმენტში, ასევე, განხილულია ინსტიტუციური მოწყობა ბიომრავალფეროვნების დაცვის სფეროში. იმ პერიოდში მთავარ ინსტიტუტს, რომელიც პასუხისმგებელი იყო გარემოს დაცვასა და ბუნებრივი რესურების რაციონალურ გამოყენებაზე, „გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო“ წარმოადგენდა, მის დაქვემდებარებაში არსებულ ბიომრავალფეროვნების დაცვის

დეპარტამენტს კი ევალებოდა აღნიშნულ სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და საერთაშორისო ვალდებულებების შესრულება.

საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებისა და მექანიზმების შემუშავების პროცესის გაგრძელება იყო 2005 წელს გამოცემული მთავრობის #27 დადგენილების დამტკიცება, სადაც წარმოდგენილი იყო ბიომრავალფეროვნების დაცვის სტრატეგია და მოქმედებათა გეგმა (სახეობათა კონსერვაციის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი, 2005). დოკუმენტის დასაწყისში გააზრებულია, რომ საქართველოს, როგორც განვითარების გარდამავალ ეტაპზე მყოფ სახელმწიფოს, შეუძლია გამოიყენოს უნიკალური შესაძლებლობა და გაეცნოს სხვა ქვეყნების გამოცდილებას და თავიდან აიცილოს შეუქცევადი პროცესების ჩამოყალიბება გარემოში, რომელთა გამოსწორებაც შემდგომ რთული იქნება. განსაკუთრებით, ხაზი გასმულია იმასთან დაკავშირებით, რომ მნიშვნელოვანია მოხდეს უკვე არსებული კანონის გაუმჯობესება, ხოლო აღსრულების ნაწილში სამსახურების მუშაობის გამკაცრება. აღნიშნულ დოკუმენტში გაიწერა ის პრონციპები, რომელთა საშუალებითაც მომავალი ათი წლის განმავლობაში სხვადასხვა ქვეყნებთან და ორგანიზაციებთან კოორიდინირებული მოქმედებებით საქართველოში საქმიანობა უნდა წარმართულიყო ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების სფეროში.

შემდეგ წლებში კვლავ გაგრძელდა გაეროს ბიომრავალფეროვნების შესახებ კონვენციის ფარგლებში სხვადასხვა დოკუმენტების, ამოცანებისა და სტრატეგიების შემუშავება. საქართველოში 2008 – 2015 წლებში გამოიცა „ეროვნული მოხსენების“ მეორე, მესამე, მეოთხე და მეხუთე ნაწილი. მეორე და მესამე ეროვნული გეგმის შინაარსი უნდა დახმარებოდა კონვენციის მხარეებს იმის გააზრებაში, თუ რამდენად სწორად მიმდინარეობს მათი მუშაობის პროცესი ქვეყანაში კონვენციის დანერგვის ნაწილში. საქართველომ ვერც მეორე და ვერც მესამე მოხსენება დროულად ვერ მოამზადა. მეორე მოხსენება 2001 წლამდე განხორციელებული ქმედებების ანგარიშს წარმოადგენდა ბიომრავალფეროვნების კონსერვაციისა და რაციონალური გამოყენების სფეროში. ხოლო მესამე ანგარიში, 2001-დან 2005 წლამდე ქმედებათა ანგარიშს მოიცავდა (ალტერნატივა, არსებობდა ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების მიმართულებით, საქართველოს მთავრობას დაეკისრა ახალი მოხსენების შექმნის ვალდებულება. მეოთხე ეროვნული

მოხსენებაც მოცემულ ვადაზე ერთი წლით გვიან გადაიგზავნა. დოკუმენტში აღწერილი იყო ის ძირითადი ფაქტორები, რომელთა გამოც ვერ ხერხდებოდა უფრო ხისტი ნაბიჯების გადადგმა ეკოსისტემისა და მასში მცხოვრები ორგანიზმების მრავალფეროვნების შესანარჩუნებლად. მთავარი პრობლემები ფინანსური რესურების საკმარისი რაოდენობის არარსებობა და ბიომრავალფეროვნების დაცვის არაპრიორიტეტულობა იყო. რაც შეეხეება „მეხუთე ეროვნულ ანგარიშს", მასში ასახულია ის მიზეზები, რაც ადამიანებს ბუნებრივი რესურსების არარაციონალური გამოყენებისკენ უბიძგებს. ეს, უპირველეს ყოვლისა, გამოწვეულია ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობიდან გამომდინარე. აგრეთვე, პრობლემაა საზოგადოების მხრიდან ბიომრავალფეროვნების მნიშვნელობის გაცნობიერება, სხვადასხვა პოლიტიკურ სტრატეგიებში ბიოლოგიური მრავალფეროვნების არასაკმარისად ასახვა (საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსები სამინისტრო, 2015). აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო ცდილობს კონვენციის თანახმად გათვალისწინებული დოკუმენტებისა და სტრატეგიების შემუშავებას, თუმცა უმნიშვნელოვანესია ეს განხორციელდეს დროში გაწერილი ვადების შესაბამისად და სახელმწიფო ინსტიტუტების მხრიდან ხორციელდებოდეს აღსრულების ეფექტური სამუშაოები.

„კლიმატის ცლილების შესახებ კონვენცია" - სახელმწიფოს ვალდებულებები

კლიმატის ცვლილება დიდი ხნის განმავლობაში მრავალი სახელმწიფოს, მათ შორის, განვითარებული სახელწიფოების მხრიდან სერიოზულ პრობლემად არ აღიქმებოდა. თუმცა დროთა განმავლობაში სხვადასხვა ექსპერიმენტმა და კვლევამ აჩვენა, რომ კლიმატის ცლილება გლობალური პრობლემაა, რომლის გამოწვევაშიც ადამიანებს უდიდესი წვლილი მიუძღვით. აღნიშნული პრობლემის გადააზრების შემდეგ კლიმატის ცლილებების თავიდან აცილების მიზნით, გაეროში 1992 წელს მიიღეს კლიმატის ცვლილების შესახებ კონვენცია (UN, 1992). კონვენიციის რატიფიცირება საქართველომ 1994 წელს მოახდინა, რის შემდეგაც სახელმწიფოს დაეკისრა კონვენციით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება. ეს ვალდებულებები მოიცავს სხვადასხვა სამეცნიერო თუ ტექნოლოგიურ თანამშრომლობას, საზოგადოებაში კლიმატის ცლილებების შესახებ ცნობიერების ამაღლებასა და განათლებას. აგრეთვე,

კონვენციისადმი ვალდებულებების ფარგლებში სახელმწიფოს დაეკისრა ანგარიშების მომზადება, რომელიც „ეროვნული შეტყობინების“ სახელით არის ცნობილი. საქართველოს მთავრობამ პირველი ამგვარი დოკუმენტი 1999 წელს შეიმუშავა, აღნიშნულ ანგარიშში ჩატარდა პირველადი ინვენტარიზაცია, რამაც შექმნა სურათი სათბური აირების ძირითადი წარმომქმნელისა და შთანთქმელის შესახებ. ემისიების წარმომქმნელ ძირითად წყაროებად სახელდება: საწარმოო გამონაბოლქვები, არამდგრადი ენერგეტიკული მდგომარეობიდან გამომდინარე წიაღისეული საწვავის წვა და მცირე დოზით, თუმცა მანქანების გამონაბოლქვი. სათბური აირების შთანთქვის მთავარ წყაროდ კი ტყეებია დასახელებული (კლიმატის კვლევის ეროვნული ცენტრი,

საქართველოს სახელმწიფო ვალდებულია დროის გარკვეულ პერიოდში განსაზღვროს სათბური აირების ძირითადი გამავრცელებელი სექტორები და, აგრეთვე, მათი ურთიერთქმედება კლიმატის ცლილებებთან დაკავშირებით. მონიტორინგისა და კონვენციისადმი ანგარიშდების ფარგლებში 2009 წელს და 2015 წელს გამოიცა საქართველოს მეორე და მესამე ეროვნული შეტყობინებები. აღნიშნულ დოკუმენტებში შეფასებულია ის ძირითადი სექტორები, რომლებიც გამოყოფენ სათბურ აირებს და აგრეთვე გაანალიზებულია საქართველოს რეგიონების კლიმატის ცლილებების მაჩვენებელი სხვადასხვა პარამეტრში. ბოლო ეროვნული მოხსენება, რომელიც საქართველომ გაეროს კონვენციის ფარგლებში გამოსცა იყო 2021 წელს წარდგენილი „საქართველოს მეოთხე ეროვნული შეტყობინება“. მასში გარკვეული მიგნებებია ნაპოვნი, მაგალითად, ბოლო 30 წლის განმავლობაში საქართველოს ტერიტორიაზე საშუალო წლიური ტემპერატურა 0.25 – 0.58 გრადუსით არის გაზრდილი. აგრეთვე, მონაცემებია ემისიების ჯამურ მასაზე. 1990 წლიდან 2017 წლამდე ეროვნული ემისიების რაოდენობა ითქვას, რომ ქართულმა სახელმწიფომ ყველა იმ ვალდებულების აღსრულება უნდა მოახდინოს, რომელიც ემსახურება კლიმატის ცვლილების შერბილებას, რათა არ დაირღვეს კონვენციის მთავარი პრინციპი, რომელიც მხარეთა საერთო, მაგრამ განსხვავებულ პასუხისმგებლობას გულისხმობს.

„გაუდაბნოებასთან ბრძოლის შესახებ კონვენცია“ - სახელმწიფოს ვალდებულებები

შედარებით მშრალ რეგიონებში კლიმატური ცლილებები და ანთროპოცენტრული მიდგომები არანაკლებ პრობლემას წარმოქმნის გაუდაობნოების მიმართულებით. აღნიშნული პრობლემა პირდაპირპროპორციულად მიბმულია ბიოლოგიური, თუ ეკონომიკური ხარისხის კარგვასთან, რომელიც დღეს მსოფლიოში არსებობს. ამიტომ გაუდაბნოებასთან ბრძოლა კაცობრიობისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. სწორედ ამიტომ 1994 წელს პარიზში გაეროს ინიცირებით ჩატარებულ კონფერენციაზე ძალაში შევიდა გაუდბნოებასთან ბრძოლის შესახებ კონვენცია (UN, 1994). აღნიშნული კონვენციის მხარე კი საქართველო 1999 წელს გახდა. დოკუმენტის თანახმად განისაზღვრა ვალდებულებები, რომლებიც ძირითადად მოიცავენ გრძელვადიანი სტრატეგიების დამუშავებას გაუდაბნოების პროცესებისა და მისგან გამოწვეული სიღარიბის შესამსუბუქებლად. აგრეთვე, საქართველოს დაევალა ახალი კანონმდებლობის შემუშავება და მისი აღსრულების მექანიზმების უზრუნველყოფა. საქართველომ გაუდაბნოებასთან ბრძოლის პირველი პროგრამა 2003 წელს მიიღო. პროგრამის ძირითადი მიზანი გაუდაბნოების მხრივ მოწყვლადი რეგიონების დადგენა იყო (მწვანე ალტერნატივა, 2016). პირველ პროგრამაში ასეთ რეგიონებს წარმოადგენდნენ კახეთი და ქვემო ქართლი. გაუდაბნოებიასთან ბრძოლის მეორე ეროვნული პროგრამა კი სამინისტრო ხელმძღვანელობდა. დადგენლებით განისაზღვრა ის მეთოდები და საშუალებები, რომლებიც მომავალში უნდა გაატაროს სახელმწიფომ გაუდაბნოების პროცესების პრევენციის მიმართულებით. აღსანიშნავია, რომ პროგრამაში კახეთსა და ქვემო ქართლს კიდევ ერთი მოწყვლადი რეგიონი დაემატა შიდა ქართლის სახით. პროგრამაში მნიშვნელოვანი წვლილი უჭირავს საზოგადოების გარემოს ზემოქმედებაზე ცნობიერების ამაღლების მნიშვნელობას და ამ მიმართლებით გარკვეული ქმედითი ნაბიჯების გადადგმას ითვალისწინებს. გარდა სტრატეგიული პროგრამების შექმნისა, კონვენციის მხარე ვალდებულია წარადგინოს ეროვნული მოხსენებები კონვენციის შესახებ. აღნიშნული ვალდებულების ფარგლებში საქართველოს სახელმწიფომ 2000

წლიდან 2014 წლამდე სხვადასხვა დროს კონვენციის სამდივნოს წარუდგინა ხუთი ეროვნული მოხსენება. აღსანიშნავია, რომ კონვენციის ფარგლებში არაერთ საერთაშორისო კონფერენციაში იღებენ მონაწილეობას სახელმწიფო სტრუქტურების წარმომდგენლები, რაც ხელს უწყობს ინფორმაციისა და გამოცდილებების გაზიარებას. აგრეთვე, აღსანიშნავია, რომ კონვენციის შესრულებაში ჩართული არიან სხვადასხვა უწყების წარმომადგენლები და თავიანთი შესაძლებლობის ფარგლებში ცდილობენ ვალდებულებათა შესრულებას. თუმცა, როგორც „მწვანე ალტერნატივას“ ანგარიშში ვკითხულობთ, არსებობს რიგი საკანონმდებლო თუ აღსრულების პროცესში წარმოქმნილი პრობლემები, რომლებიც ხელს უშლიან კონვენციით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას (მწვანე ალტერნატივა, 2016).

„ასოცირების ხელშეკრულება“ - სახელმწიფოს გარემოს დაცვითი ვალდებულები

წელს საქართველოსა და ევროკავშირს შორის დაიდო ასოცირების ხელშეკრულება, რომლის მესამე თავში განხილულია ის გარემოს დაცვითი ვალდებულები, რომლებიც ქართულმა სახელმწიფომ უნდა შეასრულოს (EU Association, 2014). მუხლი 301 გულისხმობს მხარეებიის მიერ თანამშრომლობის განვითარებასა და განმტკიცებას, რამაც ხელი უნდა შეუწყოს გარემოზე მიყენებული ზიანის შემცირებასა და მწვანე ეკონომიკის დანერგვას საქართველოში. თანამშრომლობა, აგრეთვე, მიზნად ისახავს გარემოს ხარისხის შენარჩუნებას, ადამიანების ჯანმრთელობის დაცვას, ბუნებრივი რესურსების გამოყენებასა და ერთიან ძალისხმევას ისეთი გლობალური პრობლემების აღმოსაფხვრელად, როგორებიცაა: ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება, კლიმატის ცლილება, ქიმიური და წიაღისეული ნარჩენების მართვა. ამ პროცესში მნიშვნელოვანია გარემოს დაცვითი საკითხების ჰორიზონტალური გადაწყვეტა, მრავალპუნქტიანი სტრატეგიული დაგეგვმა, საზოგადოების ინფორმირება, ამ გზით ცნობიერების ამაღლება და მათი უშუალო მონაწილეობა გარემოს დაცვითი პრობლემების გადასაჭრელად. ასოცირების ხელშეკრულება, აგრეთვე, მიზნად ისახავს ქართული კანონმდებლობის დაახლოებას ევროკავშირის კანონმდებლობასთან. კერძოდ კი, ყველა

იმ ძირითადი კანონის გადმოტანას, რომლებიც ევროკავშირში აწესრიგებენ გარემოს დაცვით საკითხებს. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მიმართულება არის ის, რომ ყველა სფეროში გადაწყვეტილების მიღების პროცესში გათვალისწინებული იქნას ზიანის მასშტაბები, რაც შეიძლება გარემოს მიადგეს. შეთანხმება ასევე ითვალისწინებს „გარემოს დაცვის მოქმედებათა ეროვნული გეგმის“ შემუშავებასა და მის ეტაპობრივად განახლებას.

აღნიშნული თავის შეფასებისას შესაძლოა ითქვას, რომ საქართველო დამოუკიდებლობის მოპოვების საწყისი წლებიდანვე იწყებს გაერთიანებას საერთაშორისო გარემოსდაცვით კონვენციებში. ამზადებს სტრატეგიებსა და მოქმედებათა გეგმას, რომლებაც უნდა უზრუნველყონ გარემოზე მიყენებული ზიანის შემსუბუქება. რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია საერთაშორისო გარემოს დაცვით კონვენციებსა და ხელშეკრულებებში მონაწილეობა, თუმცა ჯერ კიდევ ბევრი სტრატეგიული ნაბიჯია გადასადგმელი კანონმდებლობის დასავლურ სტანდარტებამდე მისვლისთვის, ადამიანების ცნობიერების ამაღლებისა და სახლმწიფო სტრუქტურების სისტემური მუშაობისთვის.

თავი 3. ჭიათურა და რუსთავი: შემთხვევის ანალიზი

მე-2 თავში გადმოცემულია ქართული სახელმწიფოს მიერ აღებული საერთაშორისო გარემოსდაცვითი ვალდებულების შესახებ, რომლებიც საქართველოს ანგარიშვალდებულს ხდის გარკვეულ ორგანიზაციებთან მოაწესრიგოს საკანონმდებლო ბაზა, შეიმუშავოს გარემოსდაცვითი სტრატეგიები და შეეცადოს ქვეყანაში ეკოლოგიური სტაბილურობის შენარჩუნებას. მე-3 თავში კი განხილულია, თუ როგორია სახელმწიფოს შემუშავებული პოლიტიკა ჭიათურისა და რუსთავის შემთხვევის მაგალითზე.

ჭიათურა: შემთხვევის ანალიზი

ქალაქ ჭათურაში მანგანუმის საბადოების დამუშავება მე-19 საუკუნის 80-იანი წლებიდან დაიწყო. ამ დროიდან მოყოლებული საქართველოს პირველი რესპუბლისკის საბჭოთა რუსეთის ანექსირებამდე არაერთი საქმოსანი მონაწილეობდა ჭიათურის წიაღის გამდიდრებაში. თუმცა 1921 წლიდან 70 წლის განმავლობაში საბადოებზე კონტროლი საბჭოთა ხელისუფლებამ აიღო. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ 90-იან წლებში მადნის მოპოვების პროცესი, ფაქტობრივად, შეჩერდა. 2006 წელს კი „პრივატიზაციის“ რეფორმის განხორციელების კვალდაკვალ ჭიათურის მანგანუმის მოპოვების ლიცენზია უკრაინულ „პრივატ ჯგუფის“ ხელში გადავიდა. ამასთან დაკავშირებით რ#4 აღნიშნავს *„ყველამ კარგად ვიცით როგორი კაბალური პირობებით მოხდა „ჭიათურ მანგანუმისა“ და მადნის მოპოვების ლიცენზიის გაყიდვა 40 წლით. ეს პირველი ნაბიჯია, როცა სახელმწიფო იწყებს ჭიათურის გაწირვას“* (სიღრმისეული ინტერვიუ, სამოქალაქო აქტივისტთან 04.06.2023). „პრივატ ჯგუფმა“ ოპერირება ყოველგვარი გარემოსდაცვითი ვალდებულებების შესრულების გარეშე დაიწყო. „მწვანე ალტერნატივის“ დასკვნაში ვკითხულობთ, რომ სახელმწიფო გარემოს დაცვითი სტრუქტურები 2014 წლამდე თავს არიდებდნენ „შპს. ჯორჯიან მანგანეზის“ საქმიანობის შეფასებასა და გარემოზე მიყენებული ზიანის დაანგარიშებას (მწვანე ალტერნატივა, 2016).

წლიდან „გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ“ აქტიურად დაიწყო მოკვლევა საწარმოს მუშაობის შესახებ და ეკოლოგიური მდგომარეობის შეფასების კუთხით. მოკვლევის თანახმად, 2013-2014 წლებში „შპს ჯორჯიან მანგანეზის“ მიერ გარემოზე მიყენებული ზიანი 357 364 708 ლარს შეადგენდა. აღნიშნული ზიანი ჯამურად დაანგარიშდა და მასში შედიოდა ნებართვის შეუსრულებლობა მდინარე

ყვირილაში გაუწმენდავი წყლის ჩაშვების, ლიცენზიით გათვალისწინებულ ადგილებში ხე-ტყის განადგურების, ნიადაგის დეგრადაციისა და მიწის ნაყოფიერი ფენის ჰუმუსის განადგურების ზიანის ხარჯები (მწვანე ალტერნატივა, 2016). იმის გამო, რომ საწარმო ვერ ასრულებდა ლიცენზიით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, „საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ“ და „სსიპ გარემოს ეროვნულმა“ სააგენტომ წამოიწყო სასამართლო დავა „შპს ჯორჯიან მანგანეზის მიმართ“. მათ შუამდგომლობით მიმართეს „თბილისის საქალაქოს სასამართლოს“ კომპანიაში სახელმწიფო სპეციალური მმართველის დანიშვნის შესახებ. შუამდგომლობის ავტორები მიიჩნევდნენ, რომ სასამართლოს მიერ დაკისრებულმა პირველადმა, თუ მეორეულმა ჯარიმებმა ვერ უზრუნველყო კომპანიის მხრიდან სანებართვო ლიცენზიით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება. ისინი ამბობდნენ, რომ აღნიშნული პირობების შესრულება საზოგადოებრივი და სახელმწიფო ინტერესის საკითხია, ვინაიდან ლიცენზიის დარღვევით განხორციელებული სამუშაოები გამოუსწორებელ ზიანს აყენებდა გარემოს, ნიადაგს, შიდა, თუ გარე წყლებსა და გარემოში მცხოვრებ ცოცხალ ორგანზმებს. შუამდგომლობის ავტორების დაანგარიშებით „შპს ჯორჯიან მანგანეზს“ 416 110 418 ლარის ოდენობის ზიანი ჰქონდა მიყენებული გარემოსთვის, რომელიც ყოველდღიურად განაგრძობდა ზრდას. აღსანიშნავია, რომ ლიცენზიით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობის გამო შუამდგომლობის ავტორებს შეეძლოთ მოეთხოვათ ლიცენზიის შეჩერება, თუმცა ამგვარი მოქმედება მათი არგუმენტაციით რეგიონში გამოიწვევდა სოციალურ და ეკონომიკურ კრიზისს. საბოლოოდ, ნინო ბუაჩიძემ, თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ, დააკლმაყოფილა მოსარჩლე მხარის შუამდგომლობა და სახელმწიფოს მიერ შეთავაზებულ სპეციალურ მმართველს, ნიკოლოზ ჩიქოვანს, სამი წლის ვადით მისცა საწარმოს მართვის ექსკლუზიური უფლება. მას დაევალა ლიცენზიით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება, მათ შორის, წიაღის ათვისების გეგმისა და ანგარიშგების შემუშავება, რომელსაც უნდა დაესრულებინა მადნის უკონტროლო მოპოვება ქ. ჭიათურაში (თბილისის საქალაქო სასამართლო - საქმე #3/3381 – 17, 2017). სპეციალური მმართველის დანიშვნის მოთხოვნის მთავარი არგუმენტაცია, როგორც ვხედავთ, გარემოზე მიყენებული ზიანის შემსუბუქება იყო, თუმცა ამ

მიმართულებით სამუშაოების შეუსრულებლობის გამო 2020 წელს კვლავ გაგრძელდა სამი წლით კომპანიაში სპეციალური მართვის რეჟიმი.

შეგვიძლია ვთქვათ, რომ 2017 წელს სახელმწიფოს მხრიდან ჭიათურაში განხორციელდა უპრეცენდენტო და უმძიმესი სანქცია კერძო კომპანიის მიმართ, რომელსაც უნდა უზრუნველყო მადნის მოპოვების გეგმის შემუშავება და გარემოსდაცვითი პრობლემების შემსუბუქება. რ#6-თან საუბარში ვარკვევთ, რომ ზემოთ ნახსენები წიაღის მოპოვების გეგმა კომპანიას კვლავ არ გააჩნია. „კომპანიას შეუძლია დაიწყოს მოპოვება, როცა უნდა, სადაც უნდა და რამდენიც უნდა“ (სიღრმისეული ინტერვიუ გარემოსდამცველ ორგანიზაციის დირექტორთან 07.06.2023) წიაღის ეროვნულ სააგენტოში არსებობს 1975 წლით დათარიღებული ერთდერთი რუსულენოვანი დოკუმენტი, რომელიც დამტკიცებულია მარაგების ეროვნული კომისიის მიერ. რ#7 კი ეკოლოგიური პრობლემების წარმოქმნის მთავარ წინაპირობად სწორედ მადნის უკონტროლო მოპოვებას ასახელებს. სპეციალური მმართველის მუშაობის პირობებში გაიზარდა ე.წ კოოპერატორების, „შპს ჯორჯიან მანგანეზის“ ქვეკონტრაქტორების რიცხვი, რომლებსაც საკუთარი ლიცენზიაც კი არ აქვთ. ისინი წიაღის გამდიდრებას ძირითადად ღია კარიერული წესით ეწევიან, რაც ზრდის გარემოზე მიყენებულ ზიანს. შესაბამისად, სპეციალური მმართველის მოსვლის შემდეგ არა თუ დარეგულირდა წიაღით სარგებლობის გეგმაზომიერება, არამედ გაიზარდა მოპოვების მასშტაბები, რაც პირდაპირ პროპორციულად ზრდის დეგრადირებული ნიადაგების ფართობებს. ე.წ კოოპერატორების ზრდას ეკონომიკური და პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. რ#1 ამბობს რომ *„სახელმწიფოს ჭიათურაში სჭირდება ბევრი მათ მიმართ ლოიალურად განწყობილი გავლენიანი ადამიანი“* (სიღრმისეული ინტერვიუ სტრატეგიაზე საუბრობს. სტრატეგია შემდეგში მდგომარეობს „შპს ჯორჯიან მანგანეზმა“ ოცზე მეტ ქვეკონტრაქტორს მისცა მადნის მოპოვების საშუალება. აღნიშნულ კომპანიებს მატერიალურად არც ოფისი გააჩნიათ და ძირითადად არც ის არის ცნობილი ადგილობრივი მოსახლეობისთვის, თუ ვინ ხელმძღვანელობს მათ. შესაბამისად, ასეთი კომპანიების მიმართ სამართლებრივი დავისა და პროტესტის წამოწყება მოსახლეობის მხრიდან ბევრად უფრო რთულია, ვიდრე ჯორჯიან მანგანეზის მიმართ. ამასთანავე

არსებობს მეორე ფაქტორი, ყველა ასეთი პატარა კომპანიის უკან დგას არაფორმალური ძალაუფლების მქონე ფსევდოკრიმინალური ელემენტი, რომელიც აქტიურად ცდილობს მოსახლეობის პროტესტის ჩახშობას. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ, მიუხედავად იმისა, ვინც არ უნდა ასრულებდეს წიაღის მოპოვების სამუშაოებს, პასუხისმგებელი ორგანო ყველა იმ დარღვევაზე, რომელიც ეკოლოგიური თვალსაზრისით წარმოიქმნება, ლიცენზიის მქონე კომპანიაა (სიღმისეული ინტერვიუ ონლაინ ტელევიზიის წარმომადგენელთან, 05.06.2023).

ზემოთ მონათხრობიდან გამომდინარე, ერთ-ერთი მთავარი ვალდებულება სახელმწიფოს სპეციალურმა მმართველმა, წიაღის გეგმაზომიერად მოპოვების შესახებ, გეგმის შემუშავება ვერ მოახერხა. მნიშვნელოვანია იმის განხილვა, თუ რა შეიცვალა ეკოლოგიური თვალსაზრისით ჭიათურაში ბოლო ექვსი წლის განმავლობაში. როგორც უკვე აღვნიშნეთ, სპეციალური მმართველის დანიშვნის მთავარი მიზეზი ეკოლოგიური პრობლემების გადაწყვეტა იყო. რ#7 ამბობს: *„საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შუამდგომლობაში მოიხსენია, რომ მიუხედავად მათი არაერთი გატარებული ღონისძიებისა, ჭიათურის მუნიციპალიტეტი იდგა ეკოლოგიური კატასტროფის საფრთხის წინაშე, თუმცა ნიკოლოზ ჩიქოვანის მმართველობის პირობებში დღეისათვის ჩვენ ნაცვლად სიტუაციის გამოსწორებისა მივიღეთ ეკოლოგიური კატასტროფა“* (სიღმისეული ინტერვიუ ონლაინ ტელევიზიის წარმომადგენელთან, რ#6 კი აღნიშნავს, *„აღმოჩნდა რომ სპეციალური მმართველის დანიშვნა სულაც არ ემსახურებოდა ეკოლოგიური მდგომარეობის გამოსწორებას და ეს იყო წილების გადანაწილებისთვის გადადგმული ნაბიჯი. შედაგად კი მივიღეთ ის, რომ რამდენადაც არაფორმალურად წარიმართა ეს პროცესი იმდენად სახელმწიფოს უწყებების მხრიდან მიდგომაც ასეთია. თითქოს არ არსებობს რაიმე გაცხადებული ნება, რომ საწარმოს მიმართ სანქციები არ უნდა იყოს გამოყენებული თუმცა ასე ხდება“* (სიღრმისეული ინტერვიუ გარემოსდამცველ ორგანიზაციის დირექტორთან, 07.06.2023).

წლის მანძილზე გარემოს ზედამხედველობის სააგენტოს არც ერთი კვლევა არ ჩაუტარებია ჭიათურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. არ შეუსწავლია სპეციალური მმართველის მუშაობის ხარისხი. ამის გამო არ გვაქვს ზუსტი სურათი, თუ რა მდგომარეობაშია ეკოლოგიური თვალსაზრისით ჭიათურა. თუმცა არსებობს

ფორმალური და არაფორმალური ინფორმაცია ამის შესახებ. არაფორმალურად არსებობს ინფორმაცია, რომ დეგრადირებული ნიადაგის ფართობი სპეციალური მმართველის მოსვლის შემდეგ გაორმაგდა. რ#7 ამბობს - *„არსებობს დრონით გადაღებული და სპეციალური საძიებო სისტემებით მოძიებული სურათები, სადაც შედარებულია 2017 წლამდე არსებული დეგრადირებული ნიადაგების ფართობები და დღევანდელი მდგომარეობა. ამგვარმა კვლევამ აჩვენა, რომ მინიმუმ ორჯერ არის დეგრადირებული ნიადაგების ფართობი გაზრდილი“* (სიღმისეული ინტერვიუ ონლაინ ტელევიზიის წარმომადგენელთან, 05.06.2023). დაზიანებული ნიადაგების შესახებ, აგრეთვე, არსებობს ციფრებში მოცემული „შპს ჯორჯიან მარგანეზის” მონაცემი, რომლის მიხედვითაც 2017 წელს დარღვეული ტერიტორიების ფართობი შეადგენდა 355 ჰა-ს, ხოლო 2022 წლის მონაცემით 956 ჰა-ს, შესაბამისად, თუ მათივე მონაცემების მიხედვით ვიმსჯელებთ, დარღვეული ტერიტორიების რიცხვი, სპეციალური მმართველის დანიშვნიდან 5 წლის თავზე, 2.69-ჯერ გაიზარდა. ბუნებრივია, ეს ციფრი შესაძლოა არ შეესაბამებოდეს სიმართლეს და დაზიანებული ტერიტორიის ფართობი ბევრად უფრო დიდი იყოს.

კვლევის ობიექტურობისთვის, აგრეთვე, შევეხები სპეციალური მმართველის მიერ წელს წარდგენილ „პროგრესის ანგარიშს,“ რომელიც მის ექვსწლიანი საქმიანობის შეჯამებას წარმოადგენს. ვინაიდან სახელმწიფომ მას მისცა ექსკლუზიური უფლება ჭიათურაში ემოქმედა საკუთარი ნების შესაბამისად, სპეციალური მმართველის პროექტები განხილული იქნება სახელმწიფოს გარემოსდაცვითი ღონისძიებების კონტექსტში. აღსანიშნავია, რომ „პროგრესის“ ანგარიში ხელმისაწვდომი არ არის არც ინტერნეტ სივრცეში და არც სხვადასხვა ორგანიზაციებისათვის, მიუხედავად იმისა, რომ არაერთხელ სთხოვეს სახელმწიფო სტრუქტურებს მისი მოწოდება. ყურადღება უნდა დაეთმოს სპეციალური მმართველის მიერ ვიდეო მიმართვაში ნახსენებ მის მიერ განხორციელებულ პროექტებს, რომელიც ასახულია ზემოთ ხსენებულ ანგარიშში. მან გამოყო რამდენიმე ძირითადი პროექტი, რომელიც ჭიათურაში განახორციელა, ესენია: მადნის ტრანსპორტირების რკინიგზაზე დაბრუნება, მდ. ყვირილას შლამებისგან გაწმენდა და ნიადაგის რეკულტივაცია.

პირველი პროექტი, რომელიც მადნის რკინიგზაზე დაბრუნებას გულისხმობს მდგომარეობს იმაში, რომ ჭიათურიდან ზესტაფონამდე მადანი გადააქვთ რკინიგზით.

აღნიშნულმა პროექტმა ქალაქში ტერიტორია შედარებით განტვირთა მადნით დატვირთული მანქანებისგან. რ#1 აღნიშნავს, რომ ეს *„მნიშვნელოვანი პროექტი იყო, რადგან ჭიათურა ზესტაფონის მიმართულებით გზის მდგომარეობა საფრთხეს წარმოადგენდა ადამიანებისთვის, რომლებიც გადაადგილდებოდნენ აღნიშულ გზაზე“* ტერიტორიაზე მანგანუმის კონცენტრატის გაფრქვევის დონე ჰაერში. თუმცა ე.წ კოოპერატორების მანქანები კვლავ მოძრაობენ და აბინძურებენ, როგორც ჭიათურის ცენტრს, აგრეთვე, მის შემოგარენს. რაც შეეხება მდ. ყვირილას შლამებისგან გაწმენდას, მიუხედავად მდინარის ერთ კილომეტრიანი კალაპოტის გაწმენდისა, მდინარე მაინც შავია და არ შემცირებულა მისი საწარმოო ნარჩენებით დაბინძურების დონე. რ#7 საუბრობს მდინარის დაბინძურების სიმძმეზე *„3858-ჯერ აღემატება მძიმე მეტალების რაოდენობა დასაშვებ ზომას. ან როგორ გაზომეს ლაბორატორიაში გაკვირვებული ვარ“* აღნიშნავს, რომ *„მდინარიდან შლამების ამოღება კატასტროფა იყო. ეს გახლდა მდინარის ეკოსისტემაში უხეში ჩარევა. გარდა ამისა, როცა შლამს იღებ მდინარიდან მისი განთავსება არის სერიოზული პრობლემა. ასე ნიკოლოზ ჩიქოვანს თავში დაარტყავს და წავა შლამებს ამოიღებს არ ხდება კანონიერ სახელმწიფოში. ამას სჭირდება ცალკე სანებართვო დოკუმენტაცია რომელიც არ არსებობს“* (სიღრმისეული ინტერვიუ გარემოსდამცველ ორგანიზაციის დირექტორთან, 07.06.2023). „შპს ჯორჯიან მანგანეზის“ სპეციალური მმართველის მიერ განხორციელებული მისთვის წარმატებული პროექტი ექსპერტების მიერ ამგვარად არის შეფასებული. რაც შეეხება ნიადაგის რეკულტივაციას, კომპანიის საინფორმაციო საშუალებები აქტიურად აშუქებენ ტექნიკური და ბიოლოგიური რეკულტივაციისადმი მიძღვნილ ვიდეო რგოლებს. რ#1 აღნიშნავს, რომ ამ მიმართულებით გასულ წელს, მართლაც, დიდი ღონისძიებები განხორციელდა *„რამდენიმე 1000 ძირი ნერგი დარგეს, დიდი ფული დაიხარჯა“* (სიღრმისეული ინტერვიუ, 23.05.2023). რეალურად მართლა არსებობს ადგილები, სადაც ნერგები დაირგო, თუმცა ბიოლოგიური რეკულტივაცია კანონით გათვალისწინებული ქმედებებით რეგულირდება. ტექნიკური რეგლამენტით დადგენილია, რომ ნიადაგის ნაყოფიერი ფენა, ჰუმუსი, სამუშაოების დაწყების წინ უნდა მოიხსნას და დასაწყობდეს,

შემდგომში დეგრადირებული, არანაყოფიერი ზედაპირის დაფარვისთვის პროცესი შესაბამის სახელმწიფო სტრუქტურებს არ შეუფასებიათ და არ არსებობს ანგარიში, საინტერესო იყო იმ ადამიანების აზრი, რომლებმაც ადგილზე ნახეს რეკულტივირებული ტერიტორიები. რ#7 ამბობს *„ჭიათურის თავზე მთა რომ აქვთ ჩამონგრეული მთლიანად ის მთა ერთმანეთში აურიეს და იმის ლოდებში, ქვაღორში ჩაარჭეს ტყემლის ძირები. ეს ბუნებრივია არ შეესაბამება კანონით გათვალისწინებულ ნორმებს“* (სიღმისეული ინტერვიუ ონლაინ ტელევიზიის წარმომადგენელთან, *მიწის არანაყოფიერი ფენაში, ფუჭ ქანშია განთავსებული რომელიც, რა თქმა უნდა, ახალი სიცოცხლის დასაწყებად არის უვარგისი. რეკულტივაცია გაცილებით უფრო რთული პროცესია. იმისთვის, რომ იქ რამე დარგო ჯერ წინასწარ უნდა შექმნა მიწის ნაყოფიერი ფენა“* (სიღრმისეული ინტერვიუ გარემოსდამცველ ორგანიზაციის დირექტორთან, სპეციალური მმართველის გარემოს დაცვითი საქმიანობის შესახებ დადებით კონტექსტში. მისი საქმიანობის შეფასებისას რესპონდენტები ერთხმად ამბობენ, რომ სპეციალური მმართველის დანიშვნის შემდეგ ეკოლოგიური მდგომარეობა არა თუ გამოსწორდა, არამედ გაუარესდა. პროექტები კი, რომლებიც მან განახორციელა ფასადურია და რეალურად არ ემსახურება გარემოს დაცვითი პრობლემების აღმოფხვრას. რ#7 ამბობს, *„ჩიქოვანს შეუძლია პროგრესის ანგარიშის წარდგენის შედეგად მიიღოს გარემოსდაცვითი კომიტეტის თავმჯდომარის ბითაძის ღიმილი და არა საზოგადოების, რომელიც თვალს ადევნებს ჭიათურაში არსებულ მდგომარეობას“* (სიღმისეული ინტერვიუ ონლაინ ტელევიზიის წარმომადგენელთან, 05.06.2023).

ჭიათურაში არსებული ეკოლოგიური მდგომარეობა, მადნის უკონტროლო მოპოვება, ქალაქში არაფორმალური ძალაუფლების მქონე პირების არსებობა ადასტურებს, რომ ჭიათურაში სახელმწიფოს გარემოს დაცვითი პოლიტიკა არ არსებობს. ყველა რესპონდენტთან საუბარში გამოიკვეთა ეჭვები იმის შესახებ, რომ ჭიათურაში ჩამოყალიბებულია კორუფციული სისტემა, რომელსაც არაფორმალური მმართველები გააჩნია. რ#7 კორუფციის ნიშნებს ხედავს იმაში, რომ სახელმწიფო ინსტიტუტები

კომპანიის სასარგებლოდ თვალებს ხუჭავენ ისეთი ტიპის დარღვევებზე, როგორებიც ადამიანების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას საფრთხეს უქმნიან. კორუფციის ნიშანი იკვეთება მაშინაც, როდესაც სახელმწიფო ინსტიტუტები არ რეაგირებენ ასობით ჰექტარი ნიადაგის დეგრადირების საქმეზე. არ რეაგირებენ მდინარეში საწარმოო ნარჩენების ჩაშვებაზე. რ#7 – *„არამარტო კორუფციასთან გვაქ საქმე, არამედ სისტემურ დანაშაულთან. გარემოსდაცვითი ინსტიტუტების უკონტროლობა სისტემურ დონეზეა აყვანილი. ანუ არსებობს პოლიტიკური ნება, რომ არ შეამოწმონ კოპანიების მუშაობა, შესაბამისად, არ ამოწმებენ. აქედან გამომდინარე, მე ვერ ვნახე ჭიათურაში, რომ თვით კონსტიტუციური კანონებიც კი მუშაობდეს“* (სიღმისეული ინტერვიუ ონლაინ ტელევიზიის წარმომადგენელთან, 05.06.2023).

გარდა ამისა, რესპოდენტებთან საუბარში გამოიკვეთა ის მექანიზმები, რომელთა საშუალებითაც სახელმწიფო ინსტიტუტები აკონტროლებენ ადამიანების ცხოვრებას. რ#4 ამბობს *„ჭიათურა გასუსული ქალაქია“* (სიღრმისეული ინტერვიუ სამოქალაქო აქტივისტთან, 04.06.2023) მან ამ წინადადებით არა ჭიათურის მოსახლეობის დუმილი გამოხატა, არამედ სუსის წარმომადგენლების რაოდენობას გაუსვა ხაზი. შესაბამისად, ზემოთ ნახსენები ფსევდოკრიმინალური ელემენტების სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურებისა და კომპანიების ერთიანი მართვის სისტემით, ჭიათურაში უმაღლეს დონეზეა კონტროლის მექანიზმები აყვანილი, რაც იქ მცხოვრებ ადამიანებს ხელს უშლის პროტესტის გამოხატვაში, ეკოლოგიურ თუ სოციალურ პრობლემებზე საუბარში. ყველაფერი ზემოთ ნახსენების გათვალისწინებით, ჩვენ ვიღებთ კატასტროფულ ეკოლოგიურ სურათს ჭიათურაში. რ#1 ამბობს *„არსებული სისტემა გარემოს ვერ დაიცავს“* (სიღრმისეული ინტერვიუ, 23.05.2023).

ჭიათურის შემთხვევამ აჩვენა, რომ 2006 წლიდან 2023 წლამდე, მხოლოდ სამი წლის (2014-2017წწ.) განმავლობაში, ხორციელდებდოდა სახელმწიფო ინსტიტუტებისგან გარემოს მონიტორინგი. სპეციალური მმართველის კომპანიაში შესვლის შემდეგ (2017წ.) კი არც ერთი მოკვლევა გარემოს ეროვნულ სააგენტოს აღარ ჩაუტარებია. შედეგად კი მივიღეთ უფრო რთული ეკოლოგიური მდგომარეობა ქალაქში, ვიდრე სპეციალური მმართველის დანიშვნამდე იყო. ხელისუფლებისა და კომპანიების წარმომადგენლების მხრიდან ყოველთვის არის საუბარი იმაზე, თუ რაოდენ დიდი წვლილი მიუძღვით

ჭიათურაში არსებული მადნის მომპოვებელ კომპანიებს საქართველოს ეკონომიკურ სტაბილურობაში. შედეგად სახელმწიფოს არგუმენტი ყოველთვის უკავშირდება ეკონომიკურ ფაქტორს გარემოსდაცვითი კანონმდებლობის აღსრულებისას. მათი აზრით, თუ კომპანიები სახელმწიფოს მხრიდად მიიღებენ მეტ სანქციას, ისინი ვეღარ გააგრძელებენ ფუნქციონირებას, შედეგად კი ქალაქში სოციალური და ეკონომიკური კატასტროფა დატრიალდება. სწორედ ეს არგუმენტი იდო 2017 წლის შუამდგომლობაშიც, რომლითაც ეროვნული სააგენტო ხსნიდა, რატომ არ უნდა შეჩერებოდა ლიცენზია „შპს ჯორჯიან მანგანეზს“. თუმცა საინტერესოა განვიხილოთ ამ არგუმენტის რელევანტურობა. ცალსახაა, რომ კომპანიას, მართლაც, დიდი წვლილი აქვს ქართულ ეკონომიკაში, ასაქმებს 3500-მდე ადამიანს, მაგრამ თუ გრძელვადიან პერსპექტივაში განვიხილავთ საკითხს მივხვდებით, რომ მოპოვების გეგმაგრაფიკის არ არსებობა, პირიქით, დამაზიანებელია ქართული სახელმწიფოსთვის და მხოლოდ კონკრეტული ადამიანების სწრაფ გამდიდრებას ემსახურება. რ#1 ამბობს - *„წიაღის მოპოვება თუ არ ხდება გეგმაზომიერად ამ შემთხვევაში ზარალდება სახელმწიფო. სტაბილურობა ირღვევა. თუნდაც გადასახადების ბიუჯენტში შედინების. ვთქვათ თუ საბადომ უნდა იმუშავოს ოცი წლის განმავობაში ან 50 წლის გარმავლობაში და არაგეგმაზომიერად ხდება მადნის მოპოვება, საბადოს დამუშავების ხანგრძლივობა შემცირდება. ამ შემთხვევაში კი ბიუჯეტში შემოსავლები იკარგება“* (სიღრმისეული ინტერვიუ, 23.05.2023). ამიტომ ეკონომიკურ ფაქტორზე საუბარი ჭიათურის შემთხვევაში არ არის სწორი. მადნის მომპოვებელი კომპანიები რომ მიყვებოდნენ ქართულ კანონმდებლობას, არც მათ მუშაობას შეექმნება პრობლემა და არც ისეთი ეკოლოგიური სურათი იქნება ჭიათურაში, როგორიც არის. მთავარი ფაქტორი, რაც ხელს უშლის კანონმდებლობის აღსრულებას პოლიტიკური ნების არ არსებობაა. ეს არაერთმა რესპონდენტმა დაადასტურა სიღრმისეული ინტერვიუს დროს. მათი ამგვარი მოსაზრება სახელმწიფოს მიერ გადადგმული ნაბიჯების დაკვირვების შედეგია. ის, რომ დარღვეული ტერიტორიების რეკულტივაციის გარეშე მიტოვებაზე, მდინარეში საწარმოო ნარჩენების ჩადინებისა თუ სხვა ეკოლოგიურ პრობლემებზე უკვე წლებია არ რეაგირებს სახელმწიფო ინსტიტუტები, მიუთითებს გულგრილობასა და ნებაზე, რომ მადნის მომპოვებელმა კომპანიებმა შეუფერხებლად იოპერირონ. ეს გასაკვირი არ არის

მაშინ, როცა რესპონდენტები საუბრობენ არაფორმალური ძალაუფლების მქონე ელემენტების, კომპანიებისა და ხელისუფლებაში მყოფი პირების თანამშრომლობაზე. რ#1-ის აზრით *„მთავარი მიზეზი, რის გამოც ვერ ხდება მადნის გეგმაზომიერად და კანონიერად მოპოვება კომპანიებისა და ხელისუფლების კოლაბორაციაა“* (სიღრმისეული ინტერვიუ, 23.05.2023).

რუსთავი: შემთხვევის ანალიზი

რუსთავი მსუბუქი და მძიმე მრეწველობის უმნიშვნელოვანესი ადგილია ქვეყანაში. ძირითადი ეკონომიკური სექტორი კი გადამამუშავებელი მრეწველობაა. რუსთავშია ისეთი ქარხნები, როგორებიცაა: რუსთავის მეტალურგიული ქარხანა, „რუსთავის აზოტი“, ვაგონთმშენებელი და ა.შ. აღსანიშნავია, რომ ამ ქარხნების მუშაობას ქართული ეკონომიკის მდგრადობაში დიდი წვლილი შეაქვს, თუმცა რამდენადაც მატერიალური თვალსაზრისით სარგებლიანია, იმდენად მათი მუშაობა აბინძურებს გარემოს საწარმოო ნარჩენებითა და საფრთხეს უქმნის ცოცხლი ორგანიზმების არსებობას. რ#2 აღნიშნავს, რომ *„რუსთავი არის ჰაერის დაბინძურების თვალსაზრისით ყველაზე დაბინძურებული ქალაქი საქართველოში“* (სიღრმისეული ინტერვიუ, მოძრაობა „გავიგუდეთ“ აქტივისთთან, 25.05.2023). ქ. რუსთავის ჰაერის დაბინძურების დონე თავად ატმოსფერული ჰაერის ხარისხის სამთავრობო პორტალის მონაცემებითაც შეგვიძლია შევამოწმოთ. სწორედ აღნიშნულ პორტალზე განთავსებული მონაცემებით ხელმძღვანელობს რ#2 და ამბობს *„PM 10-ის მყარი ნაწილაკის ნორმა ერთი წლის მანძილზე მხოლოდ 35 დღის განმავლობაში შეიძლება აჭარბებდეს დასაშვებ ზღვარს. ჩვენთან გასული სექტემბრისა და ოქტომბრის მონაცემებით უკვე 33 დღეს აჭარბებდა და შეგიძლიათ სურათი წარმოიდგინოთ რა მდგომარეობაა ამ მხრივ“* (სიღრმისეული ინტერვიუ, მოძრაობა „გავიგუდეთ“ აქტივისტთან, 25.05.2023).

აღსანიშნავია, რომ ძირითად შემთხვევაში ქართული საკანონმდებლო ბაზა არ გულისხმობდა ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების რაიმე მკაცრ სანქციას, ამას ადასტურებს რ#3 *„ჯარიმა იმდენად მცირე იყო საწარმოსთვის და ისეთ ბრუნვაზე იყო საწარმო გასული, მას უღირდა ამ ჯარიმების გადახდა და ფილტრის დაყენებას ერჩივნა, რაღაც გარკვეულ პერიოდში აღნიშნული ჯარიმა გადაეხადა“* (სიღმისეული ინტერვიუ

რუსთავის ეკონომიკური განვითარების ხელმძღვანელთან, 03.06.2023). თუმცა 2021 წელს საქართველოს პარლამენტმა ცლილებები შეიტანა „ატმოსფერული ჰაერის შესახებ კანონში," რასაც, აგრეთვე, მოჰყვა საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტიც. ცვლილების პირველი ნაწილით საწარმოო მუშაობის დროს ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების შემთხვევაში, ჯარიმების ოდენობას არეგულირებს. მეორე ცვლილების თანახმად საწარმოებმა გაფრქვევის მილებში უწყვეტი თვითმონიტორინგის სისტემები უნდა დაამონტაჟონ, რათა მუდმივ კონტროლში იყოს ჰაერის დაბინძურების დონე. მესამე ცვლილება კი გარემოს დაცვის მონიტორნიგის სამსახურებს დიდი დარღვევის შემთხვევაში უფლებას აძლევს, სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე დალუქოს საწარმო იმ დრომდე, სანამ შესაბამის რეაგირებას არ მოახდენს კომპანია (საქართველოს პარლამენტი, 2021). საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი მნიშვნელოვანი ფაქტორი უნდა გამხდარიყო ატმოსფერული ჰაერის გამოსწორების პროცესში, თუმცა კანონის აღსრულების თვალსაზრისით დიდი ჩამორჩენა არსებობს დღემდე. რ#2 ამბობს *„კანონის ძალაში შესვლიდან ერთი წლის შემდეგ ყველაზე დიდი დამაბინძურებელი 27 საწარმოდან მხოლოდ ერთი საწარმო იყო დარეგისტრირებული სამინისტროს ბაზაში და ასრულებდა კანონით გათვალისწინებულ ვალდებულებას"* (სიღრმისეული ინტერვიუ, მოძრაობა „გავიგუდეთ" აქტივისთთან 25.05.2023).

დიდი ბრძოლა დასჭირდა სამოქალაქო საზოგადოებას, რომ სამინისტროს გამოექვეყნებინა გეგმაგრაფიკი, რომელი საწარმო როდის შეძლებდა შესაბამისი ტექნოლოგიებით აღჭურვას. როგორც რესპონდენტებთან ვარკვევთ, დღევანდელი მონაცემებით ამ მიმართულებითაც შედარებით გამოსწორებულია მდგომარეობა. რ#2 *„17-დან 9 საწარმო უკვე ჩართულია ელექტრონულ სისტემაში და გადმოსცემს მონაცემს და 8 საწარმოს აქვს ხელსაწყო. მათ დასაწყობებული აქვთ საწარმოს ტერიტორიაზე ან მონტაჟისა და ტესტირების პროცესში არიან და შესაბამისად ამ კუთხით მდგომარეობა გაუმჯობესებულია"* (სიღრმისეული ინტერვიუ, მოძრაობა „გავიგუდეთ" აქტივისთთან ირღვევოდა. მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე კომპანია, რ#3-ს თქმით, საკმაოდ *„მსუყედ"* დააჯარიმეს, ამ ხნის განმავლობაში არცერთი კომპანია არ დალუქულა.

შევეცადე, გამერკვია რა ფაქტორებით იყო გამოწვეული კანონის აღსრულების გაჭიანურება. პირველ და უმთავრეს ფაქტორად რესპოდენტები ერთხმად ეკონომიკურ მდგომარეობას ასახელებენ. რ#3 *„მე მინდა ვთქვა, რომ სახელმწიფო ისეთი სიხისტით ვერ ატარებს საჭირო პოლიტიკას იმიტომ, რომ საწარმოებში მომუშავე ადამიანების უკან ოჯახები დგას“* (სიღმისეული ინტერვიუ რუსთავის ეკონომიკური განვითარების ხელმძღვანელთან, 03.06.2023). კომპანიები აღნიშნულ ფაქტორს კარგად იყენებენ, რომ თავიანთი საქმიანობა კეთილსინდისიერად არ შეასრულონ, არ ჩართონ ფილტრები ან დროში გაწელონ საწარმოს შესაბამისი ტექნიკური რესურსით აღჭურვა. გარდა ეკონომიკური ფაქტორისა, 2021 წლის კანონის შესვლის შემდეგ გარკვეული პრობლემები იმ კომპანიებშიც გაჩნდა, რომლებმაც ჰაერის გამწმენდი ფილტრები და თვითმზომის სენსორები შეიძინეს. ამ შემთხვევაში პრობლემა აღნიშნული ტექნიკის დამონტაჟება იყო. შესაბამისად, სახელმწიფოს მოუწია რამდენჯერმე გადაევადებინა კანონონით გათვალისწინებული სამუშაოების ჩატარება.

კვლევის ფარგლებში, აგრეთვე, გამოიკვეთა კიდევ ერთი ფაქტორი, რომელიც ხელს უშლის ატმოსფერული ჰაერის შესახებ კანონის აღსრულებას. როგორც რესპოდენტებთან საუბრით ირკვევა, გარემოს მონიტორინგის სამსახურს არ გააჩნია საჭირო რაოდენობის ტექნიკური თუ ადამიანური რესურსი. მონიტორინგის სამსახურებში დასაქმებული კადრების კვალიფიციურობის საკითხი კი კითხვის ნიშნის ქვეშ დგას, შესაბამისად, ვერ ხორციელდება კანონის შესაბამის დონეზე გატარება. რ#3 ამბობს, *„არ ყავთ სათანადოდ კვალიფიცირებული კადრები, ეს ინფორმაცია თავად ამ სექტორში დასაქმებული ადამიანებისგანაც გავაქს“* (სიღმისეული ინტერვიუ რუსთავის ეკონომიკური განვითარების ხელმძღვანელთან, 03.06.2023). აგრეთვე პრობლემას წარმოადგენს არაგეგმიური ინსპექტირებების არ არსებობა. მონიტორინგის სამსახურები წინასწარ აწვდიან ინფორმაციას საწარმოებს როდის მოხდება მათი შემოწმება. შესაბამისად, დიდია შანსი იმისა, რომ სწორედ მონიტორინგის სამსახურების მისვლის პროცესში გამოიყენონ ფილტრები, ან სხვადასხვა საშუალებით დამალონ რეალური სურათი, რაც ქარხანაში არსებობს. ამიტომაც ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან არის ის, რომ მოხდეს საწარმოების შემოწმება არაგეგმიურად.

საბოლოოდ, ყველა ეს პრობლემა რომელიც არსებობს, ეკონომიკური, საწარმოების ტექნიკური გაუმართაობისა და სახელმწიფოს სტრუქტურებში არასაკმარისი, არაკვალიფიციური კადრების თვალსაზრისით ქმნის უარყოფით ფონს ჰაერის ხარისხის გამოსწორების მიმართულებით ქალაქ რუსთავში, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ კვლევის პროცესში აშკარად გამოჩნდა ადგილობრივი თუ ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან ნება, რომ იმ ნიშნულს მაინც მიუახლოვდეს ჰაერის დაბინძურების ხარისხი ქალაქში, რომელიც საფრთხეს აღარ შეუქმნის ქ. რუსთავში მცხოვრები ადამიანების ჯანმრთელობას. აღსანიშნავია, ასევე, ისიც, რომ ქალაქში არსებობს სამოქმედო გეგმები, რომლებიც უშუალოდ ჰაერის დაბინძურების შემსუბუქებას მოიაზრებს. რუსთავს ჰქონდა 2020-2022 წლის გეგმა ჰაერის ხარისხის გაუმჯობესების შესახებ. რ#2-თან საუბარში ვარკვევთ, რომ 2022 წლის ანგარიშის დრაფტში მოცემულია მონაცემი, რომლის მიხედვითაც ჰაერში მყარი ნაწილაკების გაფრქვევის დონე 40%-ით შემცირდა საბაზისო მონაცემთან შედარებით. თუმცა გეგმაში ჩადებული იყო, რომ 2019 წლის საბაზისო მონაცემი, რომელიც შეადგენდა 14000ტ მყარი ნაწილაკის გაფრქვევას, 2022 წლისთვის 7-ჯერ უნდა შემცირებულიყო და 2000ტ უნდა შეედგინა. რ#2 ამბობს, *„გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებები ბოლომდე ვერ შესრულდა და იმისთვის, რომ სასურველ ნიშნულს მივაღწიოთ ანუ იმ ნიშნულს, რაც გეგმაშია მოცემული საჭიროა კიდევ ამ მასების 45%-ით შემცირება“* (სიღრმისეული ინტერვიუ მოძრაობა „გავიგუდეთ“ აქტივისთთან, 25.05.2023).

იმის გამო, რომ ჰაერის დაბინძურების ხარისხი კვლავ მაღალია, მუშავდება ახალი სამოქმედო გეგმა ატმოსფერული ჰაერის მართვის შესახებ, რომელიც მოიცავს ცენტრალურ ზონას (მარნეული, გარდაბანი და მცხეთის მუნიციპალიტეტი), თუმცა ვინაიდან რუსთავში დაბინძურების მასშტაბები ბევრად უფრო მაღალია, ვიდრე მის მომიჯნავე მუნიციპალიტეტებში, ახალი გეგმის დრაფტში ყველაზე დიდი ადგილიც რუსთავის პრობლემას უჭირავს. აგრეთვე, რ#3-თან საუბრისას გავარკვიე, რომ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო აქტიურად მუშაობს ჰაერის დაბინძურების სხვა წყაროების ძიებაზე ქ. რუსთავში. კერძოდ, არსებობს ეროზიული ტერიტორიები იალგუჯის მთების გარშემო, რაც შეიძლება იწვევდეს ქარიან ამინდებში რუსთავში ეროზიული მიწებიდან მტვრის მყარი ნაწილაკების გაფრქვევას. სწორედ ამ

ვარაუდის გამოსაკვლევად სამინისტრო აწარმოებს ფონდებთან მოლაპარაკებას, რათა სიღრმისეულად გამოიკვლიოს ეს მოსაზრება. რ#3 *„ძველ და ახალ რუსთავს მტკვარი ტყე-ჭალა ჰყობს, რამაც გარკვეულწილად ჰაერს ფილტრაციას უკეთებს. ძველ რუსთავში, რომელიც უშუალოდ საწარმოო საქმიანობისთვის შედეგად შეიქმნა ნამდვილად არის ქარხნებისგან გამოფრქვევა, თუმცა ახალ რუსთავში მონიტორინგის სენსორები არ უნდა აჩვენებდეს ისეთ შედეგს, რაც არის ამიტომ არსებობს ეჭვი იმისა, რომ ქალაქში ჰაერის დაბინძურების სხვა წყაროებიცაა გარდა ქარხნებისა“*(სიღმისეული ინტერვიუ რუსთავის ეკონომიკური განვითარების ხელმძღვანელთან, 03.06.2023).

დასკვნა

გარემოს დაცვასა და უარყოფითი ზემოქმედების აღმოფხვრაში უდიდესი როლი უნდა ენიჭბოდეს სახელმწიფოსა და მის სტრუქტურებს. გარდა საერთაშორისო კონვენციებსა და ხელშეკრულებებში მონაწილეობისა, მუდმივად უნდა ხორციელდებოდეს ადგილობრივ დონეზე საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესება და შემდგომში მისი აღსრულება. სწორედ ეს განაპირობებს ქვეყნის ტერიტორიაზე ჯანსაღი ეკოლოგიური გარემოს არსებობასა და არსებული გარემოს დაცვითი პრობლემების შემსუბუქებას.

აღნიშნული კვლევის მიზანს წარმოადგენდა სახელმწიფოს გარემოს დაცვითი პოლიტიკის შეფასებას ქ. ჭიათურასა და ქ. რუსთავში. იმ მეთოდების გამოვლენა, რომლითაც სახელმწიფო ინსტიტუტები ცდილობენ გაატარონ გარემოს დაცვითი პოლიტიკა და შეამსუბუქონ ეკოლოგიური პრობლემები.

კვლევამ ქალაქ ჭიათურაში აჩვენა, რომ სახელმწიფოს გარემოს დაცვითი პოლიტიკა ფასადურია და კრიტიკას ვერ უძლებს. 2017 წელს სახელმწიფომ მადნის მოპოვების ლიცენზიის მქონე კომპანიას „შპს ჯორჯიან მანგანეზს“ დააკისრა უმძიმესი და უპრეცენდენტო სანქცია, რომლის მიხედვითაც კომპანია გადავიდა სპეციალური მართვის რეჟიმში და დაინიშნა სახელმწიფო სპეციალური მმართველი. მას ორი მთავარი მიმართულებით უნდა ემუშავა, ესენია: ეკოლოგიური მდგომარეობის გამოსწორება და წიაღის მოპოვების გეგმიის შემუშავება, რომლითაც უნდა შემწყდარიყო უკონტროლო მოპოვება. კვლევის პროცესში დამუშავებული ზეპირი თუ წერილობითი წყაროებით დგინდება, რომ სპეციალური მმართველის პირობებში გაიზარდა, როგორც უკონტროლო მოპოვების მასშტაბები, ასევე, გარემოზე მიყენებული ზიანის ოდენობა. აგრეთვე, კვლევამ აჩვენა, რომ სახელმწიფოს გარემოსდაცვით სამსახურებს ბოლო 6 წლის განმავლობაში ერთხელაც არ შეუფასებიათ ჭიათურაში არსებული ეკოლოგიური მდგომარეობა. არ გამოიკვეთა სახელმწიფოს ნება იმის შესახებ, რომ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პირობები გამოყენებული იყოს „შპს ჯორჯიან მანგანეზისა“ და მისი ქვეკონტრაქტორების საქმიანობის დასარეგულირებლად, რომლებიც უდიდეს ზიანს აყენებენ გარემოს ქ. ჭიათურაში. კვლევის ფარგლებში, აგრეთვე, გამოიკვეთა არაფორმალური ძალაუფლების მქონე ჯგუფების, სახელმწიფო

სტრუქტურებისა და კომპანიების ერთობლივი მუშაობის სქემები, რომლებიც მაქსიმალურად ახშობენ მოსახლეობის ხმას არასწორი მოპოვების შედეგად გამოთქმულ პროტესტზე.

ქალაქ რუსთავში კვლევამ აჩვენა, რომ სახელმწიფო ინსტიტუტები გარკვეულ მზაობას გამოხატავენ ატმოსფერული ჰაერის გამოსწორებისთვის. არსებობდა და ახლაც მუშავდება ატმოსფერული ჰაერის გამოსწორების გეგმები. მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილება მოხდა 2021 წელს „ატმოსფერული ჰაერის შესახებ“ კანონში, თუმცა ქ. რუსთავის შემთხვევამაც აჩვენა, რომ განსაკუთრებით კანონის აღსრულების პროცესშია პრობლემები. კანონის მიღების მიუხედავად, საწარმოების ნახევარი დღემდე ვერ მოერგო აღნიშნულ კანონმდებლობას. მიუხედავად იმისა, რომ საწარმოები ჯარიმდებიან, კანონის ძალაში შესვლიდან დღემდე არ მომხდარა არცერთი მძიმედ დამაბინძურებელი საწარმოს დალუქვა. მთავარი არგუმენტები კი ისაა, რომ ეს ეკონომიკურად ცუდად აისახება საწარმოების თანამშრომლებზე. აგრეთვე, გამოიკვეთა პრობლემები სახელმწიფო სტრუქტურებში არსებული თანამშრომლების არაკვალიფიციურობისა და ტექნიკური საშუალებების არ ქონის. ეს ყოველივე ხელს უშლის კანონის აღსრულებას. არ ხდება საწარმოების არაგეგმიური შემოწმება მონიტორინგის სამსახურების მხრიდან, რაც იწვევს განცდას, რომ შემოწმების პროცესს კომპანიები მომზადებული ხვდებიან და ვერ ხდება გარემოზე მიყენებული ზიანის რეალური მონაცემის მიღება.

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფო სტრუქტურები, ფაქტობრივად, არაფერს აკეთებენ ქალაქ ჭიათურაში არსებული მდგომარეობის შესასწავლად და მის გამოსასწორებლად. არ არსებობს ამის პოლიტიკური ნება. ხოლო, რაც შეეხება რუსთავს, როგორც ცენტრალური, ასევე ადგილობრივი ხელისუფლება ცდილობს გამოსწორებული იყოს ატმოსფერული ჰაერის მდგომარეობა ქალაქში, თუმცა აქაც არსებობს მთელი რიგი პრობლემები კანონის აღსრულების ნაწილში.

გამოყენებული ლიტერატურა

ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის. (2014). https://www.asocireba.ge/show_article.php?id=30#kari6tavi3 301-ე მუხლი

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო. (2015) საქართველოს მეხუთე ეროვნული ანგარიში ბიომრავალფეროვნების კონვენციისადმი

გაეროს საზოგადოებრივი დეპარტამენტის საქართველოს დეპარტამენტი. (2008). ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია

დიორე, კ. (2021). ყველა კლიმატზე საუბრობს / სოციალ-ეკოლოგიური ტრანსფორმაციის პერსპექტივები Green New Deals | bpb.de თარგმნა: ლევან ლორთქიფანძემ

მწვანე ალტერანტივა. (2016). ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ“ კონვენვენცია ინსტიტუციური მოწყობის და მონიტორინგისა და ანგარიშგების შესაძლებლობათა შეფასება https://greenalt.org/app/uploads/2016/05/CBD_GEO.pdf

მწვანე პოლიტიკის სამეცნიერო კვლევითი პლათფორმა, ჭიათურის ეკოლოგიური კლუბი, ჭიათურის მეთევზეთა ასოციაცია, მწვანე პოლიტიკის საზოგადოებრივი

მწვანე ალტერნატივა. (2016). „გაუდაბნოებასთან ბრძოლის შესახებ“ კონვენცია ინსტიტუციური მოწყობის და მონიტორინგისა და ანგარიშგების შესაძლებლობათა შეფასება https://greenalt.org/app/uploads/2016/05/CCD_GEO.pdf

მწვანე ალტრნატივა. (2013). მწვანე პოლიტიკა და გარემოს დაცვა - Boell_2013.indd

საქართველოს მთავრობა. (2013). დადგენილება #424 ნიადაგის ნაყოფიერი ფენის

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო. (2020). ქ.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო. (2021). საქართველოს მეოთხე ეროვნული შეტყობინება კლიმატის ცვლილების შესახებ გაეროს

ბახეობათა კონსერვაციის სამეცნიერო ეროვნული ცენტრი. (2005) „საქართველოს

„საქართველოს კანონი“ „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართადარღვევათა

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის ბრძანებულება

საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. (2000). ეკონომიკური, სოციალური და

ფორიავა, რ. (2019). ნეოექტრაქტივიზმი და „მწვანე გეოპოლიტიკა“ ლათინურ ამერიკაში.

ეგს ჯორჯიან მანგანეზი. (2022). ტექნიკური რეკულტივაცია - შეჯამება (1) Facebook

ციზანიშვილი, ვ. (2016). ეთიკური ეკონომიკა

https://www.theguardian.com/commentisfree/2019/jun/04/climate-change-world-war-iii-green-new-deal

United Nations, Convention to Combat Desertification (UNCCD), https://iyrp.info/un-convention-combat-desertification-unccd

United Nations (1992), CONVENTION ON BIOLOGICAL DIVERSITY, https://www.cbd.int/doc/legal/cbd-en.pdf

United Nations, UNITED NATIONS FRAMEWORK CONVENTION ON CLIMATE CHANGE, https://unfccc.int/resource/docs/convkp/conveng.pdf

დანართი #1

ინტერვიუს გზამკვლევი - ჭიათურისთვის

1. როგორ ფიქრობთ, რა ძირითადი პრობლემები არსებობს საქართველოში გარემოსდაცვითი მიმართულებით?
2. გთხოვთ მიამბოთ, სახელმწიფოს მიერ გატარებული გარემოს დაცვითი პოლიტიკის პროცესში რას ექცევა ყველაზე დიდი ყურადღება?

3. გთხოვთ მომიყვეთ, სახელმწიფოს მიერ გატარებული რეფორმები რამდენად ახდენს გავლენას ქვეყანაში ჯანსაღი ეკოლოგიური გარემოს შექმნის პროცესზე?
4. რა ძირითადი პრობლემები არსებობს ქ. ჭიათურაში გარემოს დაცვის მიმართულებით?
5. როგორ შეაფასებდით, ჭიათურაში არსებული ეკოლოგიური პრობლემებიდან გამოდინარე რამდენად სწორად ატარებს სახელმწიფო თავის პოლიტიკას?
6. როგორ ფიქრობთ, სახელმწიფოს მიერ „ჯორჯიან მანგანეზში“ სპეციაული მმართველის დანიშვნის შემდეგ როგორ შეიცვალა ეკოლოგიური მდგომარეობა ჭიათურაში?
7. გთხვოთ გაიხენოთ, სახელმწიფოს მიერ დანიშნული სპეციალური მმართველის მიერ გატარებული რომელიმე პროექტი ჭიათურაში?
8. 2023 წელს „ჯორჯიან მანგანეზის“ სპეციალური მმართველის, მმართველობის ექვსი წლის თავზე გარემოს დაცვის კომიტეტს მან წარუდგინდა „პროგრესის ანგარიში“ როგორ ფიქრობთ აღნიშნული ანგარიში რამდენად შეესაბამება ჭიათურაში არსებულ ეკოლოგიურ რეალობას?
9. კომპანია „ჯორჯიან მანგანეზის“ საქმიანობისას, ქ.ჭიათურის ადმინისტრაციულ ტერიტორიებზე მოსახლეობის მხრიდან ხშირად იმართება საპროტესტო აქციები ჯანსაღი გარემოს შენარჩუნების მოთხოვნით. რა როლი აქვს სახელმწიფოს ამ პროცესში, როგორია მათი დამოკიდებულება ამგვარი პროტესტების მიმართ?
10. ხომ არაფერს დაამატებდით?

დანართი #2

ინტერვიუს გზამკვლევი - რუსთავისთვის

1. როგორ ფიქრობთ, რა ძირითადი პრობლემები არსებობს საქართველოში გარემოსდაცვითი მიმართულებით?
2. გთხოვთ მიამბოთ, სახელმწიფოს მიერ გატარებული გარემოს დაცვითი პოლიტიკის პროცესში რას ექცევა ყველაზე დიდი ყურადღება?

3. გთხოვთ მომიყვეთ, სახელმწიფოს მიერ გატარებული რეფორმები რამდენად ახდენს გავლენას ქვეყანაში ჯანსაღი ეკოლოგიური გარემოს შექმნის პროცესზე?
4. რა ძირითადი პრობლემები არსებობს ქ. რუსთავში გარემოს დაცვის მიმართულებით?
5. როგორ შეაფასებდით, რუსთავში არსებული ეკოლოგიური პრობლემებიდან გამოდინარე რამდენად სწორად ატარებს სახელმწიფო თავის პოლიტიკას?
6. გთხოვთ მიამბოთ, 2021 წლის საკანონმდებლო ცვლილებებმა „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ, როგორი გავლენა მოახდინა ქ. რუსთავში ჰაერის დაბინძურების პრევენციის მიმართულებით?
7. გთხოვთ მიამბოთ, რამდენად ზედმიწევნით ასრულებენ კომპანიები კანონდმებლობით გათვალისწინებულ ვალდებულებებს?
8. როგორ მუშაობს სახელმწიფოს გარემოს დაცვითი სამსახურები კანონდარღვევის შემთხვევაში?
9. ხომ არაფერს დაამატებდით?